პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ორშაბათი,
14
ივნისი
1937 წ.
№ 134 (4935)

ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

— დიადი საბჭოთა ხალხის ხმა („პრავდის“ მოწინავე)
— სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანება
— ხალხი იწონებს ღირსეულ განაჩენს
— ამხ. მ. ი. ულიანოვას გარდაცვალება
— მიხ. ბარამია — სამეგრელოს გლეხთა აჯანყება (ფელეტონი)
— ზ. ხუნდაძე — მგზავრებს კულტურული მომსახურება (სტატია)

უცხოეთში:

— ესპანეთის ფრონტებზე
— ფაშისტური გერმანია ახალ თავდასხმას ამზადებს რესპუბლიკურ ესპანეთზე
— მოლაპარაკების შეწყვეტა სადგურ მანჯურიაში

დიადი საბჭოთა ხალხის ხმა

სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს განაჩენი, გამოტანილი ფაშისტთა რვა საზიზღარი ჯაშუშის მიმართ, რომელთაც დანაშაულზე წაუსწრეს, მოყვანილია სისრულეში. ამ სამართლიან, ერთადერთ შესაძლებელ განაჩენს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. მას მრავალრიცხოვანი კრებების რეზოლუციებში ხელი მოაწერეს მილიონობით საბჭოთა მოქალაქეებმა. უზენაესი სასამართლო აღმოჩნდა სრულ ერთიანობაში ჩვენს დიად ხალხთან, წითელ არმიასთან, საბჭოთა მთავრობასთან, მთელ პატიოსან და მოწინავე კაცობრიობასთან.

გულისამრევი ფაშისტურ-ჯაშუშური სიბინძურე აღგვილია პირისაგან მიწისა. ჩვენ ვიცით უზენაესი სასამართლოს განაჩენიდან, რომ ეს ბანდა, იმყოფებოდა რა უცხოეთის ერთი სახელმწიფოს სამხედრო დაზვერვის სამსახურში, მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო საბჭოთა კავშირის დანაწილებისათვის და ჩვენს ქვეყანაში მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების აღდგენისათვის. ამასვე მოწმობს თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ ვოროშილოვის ბრძანება, რომელიც დღეს იბეჭდება. ჩამოიცვეს რა თავის ჯაშუშურ დინგებზე ქვეყნისა და პარტიისადმი ერთგულების ნიღაბი, არამზადები „ამზადებდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოკვლას, ეწეოდნენ ათასგვარ ბოროტ მავნებლობას სახალხო მეურნეობაში და ქვეყნის თავდაცვის საქმეში, ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ წითელი არმიის ძლიერებისათვის და მოემზადებინათ მისი დამარცხება მომავალ ომში“.

ისინი ლამობდნენ ჩვენი სამშობლოს დამარცხებას, იმიტომ, რომ მხოლოდ დამარცხების შემთხვევაში იმედოვნებდნენ განეხორციელებინათ გეგმები—მოეხდინათ კაპიტალიზმის რესტავრაცია და საბჭოთა ქვეყანა მიეგდოთ საჯიჯგნელად ბურჟუაზიის მგელთა და ქოფაკთათვის. მათ სძულდათ მუშები და კოლმეურნეები, სძულდათ წითელარმიელები, იმიტომ რომ საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი ხელს უშლიდნენ მათ საძაგელ ზრახვათა განხორციელებას. მათ სძულდათ ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომელნიც ფხიზლად დგანან მუშათა კლასის დიად მონაპოვართა სადარაჯოზე. მათთვის აუცილებელი იყო მიეგდოთ ჩვენი ქვეყანა საჯიჯგნად ფაშისტ ყაჩაღებისათვის, რათა ხალხის ძვლებზე აღედგინათ მემამულეთა და კაპიტალისტთა მეუფება.

ამხანაგი ვოროშილოვი თავის ბრძანებაში ამბობს: „ისინი თავიანთი გამცემლური მოქმედებით, აშკარა ღალატითა და მავნებლობით ფრონტის ტექნიკური და მატერიალური მომარაგების დარგში და საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელობის საქმეში იმედოვნებდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ ომის შემთხვევაში დაემარცხებინათ წითელი არმია ფრონტებზე და დაემხოთ საბჭოთა მთავრობა“. მათთვის საჭირო იყო ომი, და ისინი აქტიურად ეხმარებოდნენ საბჭოთა კავშირის დაუძინებელ მტრებს მოემზადებინათ დანაშაულებრივი ხოცვა-ჟლეტა. მათ იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის, წითელარმიელთა შორის ვერ იპოვიდნენ ადამიანებს, რომელნიც მათ დაეხმარებოდნენ თავის საძაგელ, შავბნელ საქმეში. მათ ესმოდათ, რომ საბჭოთა კავშირში, სადაც ლენინ-სტალინის პარტია მშრომელთა უსაზღვრო ნდობით სარგებლობს, ისინი ვერ იპოვიდნენ ფართო მასებში საზიზღარი ღალატის ხელშემწყობთ. ამიტომ მთელი თავისი იმედი მათ დაამყარეს თავიანთ ბატონ-პატრონებზე, საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის ფაშისტურ წრეებზე. და ისინი წინდაწინ მზად იყვნენ გაეღოთ საბჭოთა კავშირის დახრჩობაში დახმარებისთვის საფასურად ჩვენი ქვეყნის ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

„ისინი დახმარებას ელოდნენ თავისი ბატონ-პატრონებისაგან — უცხოეთის ერთი სახელმწიფოს სამხედრო-ფაშისტური წრეებისაგან და ამ დახმარებისათვის მზად იყვნენ დაეთმოთ საბჭოთა უკრაინა, დაექუცმაცებინათ ჩვენი ქვეყანა ნაწილ-ნაწილად“.

მათი ზრახვის საზიზღრობა ისევე დიდი იყო, როგორც მისი უაზრობა. ისინი იძულებული იყვნენ ღრმად დაემალათ თავისი გეგმები და თავისი დანაშაულებრივი ორგანიზაცია. ისინი ვერ გაბედავდნენ ვისმე განდობოდნენ, ვისმესთან გადაკვრით ელაპარაკნათ თავის შეთქმულებაზე მათ იცოდნენ, რომ პირველი წითელარმიელი, რომელსაც კი ისინი მიმართავდნენ თანაგრძნობის ძიებაში, შეიპყრობდა მათ, როგორც მოღალატეებს, როგორც გამცემლებს, როგორც ჯაშუშებს ისინი მოქმედებდნენ იატაკქვეშეთში, ცდილობდნენ რა შიგნიდან გამოეღრღნათ წითელი არმიის ძალა, საბჭოთა თავდაცვის ძლიერება.

ამხანაგ ვოროშილოვის ბრძანება მიგვითითებს მათს სრულს მოწყვეტაზე ხალხისაგან და წითელი არმიისაგან. „ამ გამცემლებმა კარგად იცოდნენ, რომ ვერცერთ მომხრეს ვერ ჰპოვებდნენ მუშებსა და გლეხებს შორის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრებს შორის და ამიტომ მუშაობდნენ მოტყუებით, ემალებოდნენ ხალხს და წითელარმიელებს და ეშინოდათ ეჩვენებინათ თავისი ნამდვილი სახე“.

და იმ წუთს, როდესაც საბჭოთა დაზვერვამ ნიღაბი ჩამოჰგლიჯა არამზადებს, ხალხმა ერთსულოვნად მისცა თავისი შეფასება მხილებულ დამნაშავეთ. გულისწყრომის მძლავრი ტალღა მოედო მთელს ჩვენს ქვეყანას. საბჭოთა ქვეყანა, აღელვებული ჯაშუშთა ნამდვილი ბუდის აღმოჩენის ცნობით, აღსდგა კიდით-კიდემდე, რათა მთელს მსოფლიოს დაენახვოს თავისი ერთიანობა, თავის მრისხანე ნებისყოფა—განგმიროს და გაანადგუროს ყველა საზიზღარი მტერი, რომელნიც ფიქრობენ დააქუცმაცონ საბჭოთა კავშირი, დააუძლურონ იგი, ხელში ჩაუგდონ კაპიტალისტებსა და მემამულეებს.

დიადი ხალხის მძლავრი ხმა აღსავსეა გულისწყრომით, მაგრამ იგი გაისმის დინჯად, დამაჯერებლად, თავისი ძალის ურყევი შეგნებით.

ფაშისტთა ნაშიერებს არ ძალუძთ შეარყიონ მილიონთა ეს ძალა! უმაგალითოა უსაზიზღრეს ჯაშუშთა დანაშაული. მათ თავისი კადნიერი ხელი აღმართეს საბჭოთა კავშირის წმიდათა-წმიდაზე, მის ძვირფას პირმშოზე—წითელ არმიაზე. ისინი ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის. ხალხის აღშფოთება უსაზღვროა, მაგრამ დაბნეულობასა და შეშფოთებას ადგილი არა აქვს. რა პოსტებიც არ უნდა სჭეროდათ საზიზღარ გამცემლებს, ისინი ძლიერი იყვნენ მხოლოდ წითელი არმიის ძალით, მთელი ქვეყნის ძალით. დაუპირისპირეს რა თავისთავი ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, წითელ არმიას, ისინი გადაიქცნენ გაშიშვლებულ ავანტიურისტებად, უბადრუკ არარაობად, რასაც მხოლოდ შეუძლია გამოიწვიოს ზიზღი და გულისარევა.

ერთი ხმით ლაპარაკობენ თავის გამოსვლებში მუშები, გლეხები, წითელარმიელები, წითელფლოტელები, ინტელიგენტები. ამ ერთიანობაში არის საბჭოთა ქვეყნის ურყევი ძალა. ერთიანობით არის შედუღებული ბოლშევიკების პარტიის კავშირი მთელ ქვეყანასთან. ხალხის ერთიანობას ემყარება საბჭოთა დაზვერვის სიმძლავრე. საბჭოთა მიწა არ იკარებს ჯაშუშებსა და მავნებლებს როგორადაც უნდა დაიმალონ და შეინიღბონ ისინი, მათი ბედი წინასწარ გადაწყვეტილია.

ღალატი და გამცემლობა ძვირად უჯდება ხალხს. ქვეყანას სისხლის ფასად უჯდება მოღალატეთა საზიზღარი დანაშაულობანი მაგრამ ხალხის თითო გირვანქა დაღვრილ სისხლს მისი მტრები ფუთობით ზღავენ. საბჭოთა მთავრობამ დაუნდობლად გასრისა მალინჯოებივით მოღალატეთა ბანდა, რათა ხალხის ზღვა სისხლი არ დანთხეულიყო რა სამხედრო გეგმებსაც უნდა უტრიალებდნენ გარს ფაშისტური მთავრობანი, რომელნიც თავის ჯაშუშებს გზავნიან ჩვენთან და უკავშირდებიან არამზადებს ჩვენს ქვეყანაში,—ამ გეგმებს უძლიერესი ლახვარი ჩაეცა. დახვრეტილ ჯაშუშებს თავისი მაღალი სახელწოდებით შეცდომაში შეჰყავდათ ფაშისტი მყიდველები. თუ არა გაქვს პარტიის, მთავრობის, ხალხის ნდობა და მხარდაჭერა, უამისოდ ეს სახელწოდებანი ლიტონი ბგერაა.

ჯაშუშების დახვრეტამ, როგორც ეს თვითეულს ესმის, გაადიდა ჩვენი ქვეყნის ძლიერება, გაადიდა წითელი არმიის ძლიერება. ამას სამართლიანად აღნიშნავს თავის ბრძანებაში ამხ. ვოროშილოვი: „ვწმენდთ რა ჩვენს არმიას დამპალი ნაყარნუყარისაგან, ჩვენ ამით კიდევ უფრო ძლიერსა და უვნებადოს ვხდით მას. არმია მტკიცე ხდება იმით, რომ თავს იწმენდს უწმინდურობისაგან“.

საბჭოთა ქვეყნის დიადმა ხალხმა თავისი სიტყვა სთქვა. იგი მონოლიტურ კედლად შემოერტყა საბჭოთა მთავრობას, ბოლშევიკების პარტიას, ამხანაგ სტალინს.

დიადი ხალხის სიტყვა მარტივია, ნათელი, შთამაგონებელი.

„პრავდის“ მოწინავე, 13/VI

ო. ი. შმიდტის ექსპედიციის შესახვედრად

არხანგელსკი, 12 ივნისი (საქდესი). ყინულმჭრელი „სადკო“, რომელიც დღეს 1 საათსა და 30 წუთზე არხანგელსკიდან გავიდა ბარენცის ზღვაში, მიიმართება ო. ი. შმიდტის პოლარული ექსპედიციის შესახვედრად. აქ მიღებული რადიოგრამის მიხედვით, ყინულმჭრელი შუადღისას იმყოფებოდა განედის 65 გრადუსსა და 03 წუთზე, გრძედის 39 გრადუსსა და 58 წუთზე.

ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის მამაც მფრინავთა თვითმფრინავებისათვის ყინულმჭრელს მიაქვს თვლები. „სადკო“ მიჰყავს კაპიტან ბურკეს, ყინულმჭრელის ექსპედიციის უფროსს—ორდენოსან მფრინავ ჩუხნოვსკის.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 96

1937 წლის 12 ივნისი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო, პოლიტმუშაკებო!

ა.-წ. 1-დან 4 ივნისამდე მთავრობის წევრების თანდასწრებით შესდგა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისართან არსებული სამხედრო საბჭოს სხდომა. სამხედრო საბჭოს სხდომაზე მოსმენილ და განხილულ იქნა ჩემი მოხსენება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ აღმოჩენილ გამცემლურ, კონტრრევოლუციურ სამხედრო ფაშისტურ ორგანიზაციაზე, რომელიც, იყო რა სასტიკად დაკონსპირირებული, დიდხანს არსებობდა და ატარებდა საზიზღარ, ძირგამომთხრელ მავნებლურ და ჯაშუშურ მუშაობას წითელ არმიაში.

11 ივნისს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს წინაშე წარსდგნენ მთავარი გამცემლები და ამ საზიზღარი ჯაშუშური მოღალატური ბანდის მეთაურები: მ. ნ. ტუხაჩევსკი, ი. ე. იაკირი, ი. პ. უბორევიჩი, ა. ი. კორკი, რ. პ. ეიდემანი, ბ. მ. ფელდმანი, ვ. მ. პრიმაკოვი, და ვ. კ. პუტნა.

უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა თავისი სამართლიანი განაჩენი!

სიკვდილი ხალხის მტრებს! მხოლოდ და მხოლოდ ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო განაჩენი სამხედრო ფიცის, სამშობლოს და თავისი არმიის მოღალატეთა მიმართ.

მთელი წითელი არმია თავისუფლად ამოისუნთქავს, როდესაც შეიტყობს სასამართლოს ღირსეულ განაჩენს მოღალატეთა მიმართ, სამართლიანი განაჩენის შესრულებას. გათახსირებული გამცემლები, რომელთაც ასე საზიზღრად მოატყუეს თავისი მთავრობა, ხალხი, არმია, მოსპობილი არიან.

საბჭოთა სასამართლოს უკვე არაერთხელ დაუსჯია დამსახურებისამებრ ტროცკისტულ-ზინოვიევური ხროვებიდან გამოვლინებული ტერორისტები, დივერსანტები, ჯაშუშები და მკვლელები, რომლებიც თავის გამცემლურ საქმეს ასრულებდნენ უცხოეთის დაზვერვათა ფულით, გამხეცებული ფაშისტის, მოღალატისა და მუშათა და გლეხთა გამცემლის, ტროცკის ბრძანებლობით.

თავის დროზე უზენაესმა სასამართლომ თავისი ულმობელი განაჩენი გამოუტანა ბანდიტებს ზინოვიევის, კამენევის, ტროცკის, პიატაკოვის, სმირნოვისა და სხვათა ხროვიდან.

მაგრამ, კონტრრევოლუციონერ შეთქმულთა, ჯაშუშთა და დივერსანტთა სია, როგორც ახლა აღმოჩნდა, არ ამოწურულა მაშინ მსჯავრდადებული დამნაშავეებით. ბევრი მათგანი, ამოეფარა რა პატიოსანი ადამიანების ნიღაბს, თავისუფალნი რჩებოდნენ და განაგრძობდნენ ღალატისა და გამცემლობის შავბნელ საქმეს.

უკანასკნელ დრომდე გამოუმჟღავნებლად დარჩენილ ამ გამცემთა და მოღალატეთა რიცხვს ეკუთვნიან ჯაშუშთა და შეთქმულთა კონტრრევოლუციური ბანდის მონაწილენიც, რომლებსაც მოეკალათებინათ წითელ არმიაში.

თავდაცვის სახალხო კომისრის ყოფილმა მოადგილემ გამარნიკმა, გამცემმა და მხდალმა, რომელიც შეუშინდა წამდგარიყო საბჭოთა ხალხის სასამართლოს წინაშე, თავი მოიკლა.

სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილე ტუხაჩევსკი, ოლქთა ჯარების ყოფილი სარდლები იაკირი და უბორევიჩი, ამხ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ყოფილი უფროსი კორკი, ოლქის ჯარების სარდლის ყოფილი მოადგილე პრიმაკოვი, უფროსთა შემადგენლობის სამმართველოს ყოფილი უფროსი ფელდმანი, ყოფილი სამხედრო ატაშე ინგლისში პუტნა, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ეიდემანი, — ყველანი ეკუთვნოდნენ უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის რიცხვს, მაღალი თანამდებობანი ეჭირათ ჩვენს არმიაში, სარგებლობდნენ მთავრობისა და ჩვენი პარტიის ნდობით. ყველა ისინი აღმოჩნდნენ მოღალატენი, ჯაშუშები, თავიანთი სამშობლოს გამცემნი. მათ უტიფრად დასთრგუნეს სსრ კავშირის კონსტიტუცია.

ამ ხროვის საბოლოო მიზანი იყო—რადაც უნდა დასჯდომოდათ და ყოველი საშუალებით მოესპოთ საბჭოთა წყობილება ჩვენს ქვეყანაში, მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება, დაემხოთ მუშურ-გლეხური მთავრობა და აღედგინათ სსრ კავშირში მემამულეთა და მეფაბრიკეთა უღელი.

ამ თავიანთი გამცემლური მიზნის მისაღწევად ფაშისტი შეთქმულნი არ ერიდებოდნენ საშუალებათა შერჩევას: ისინი ამზადებდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოკვლას, ეწეოდნენ ათასგვარ ბოროტ მავნებლობას სახალხო მეურნეობაში და ქვეყნის თავდაცვის საქმეში, ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ წითელი არმიის ძლიერებისათვის და მოემზადებინათ მისი დამარცხება მომავალ ომში.

ეფარებოდნენ რა პარტიის წევრთა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის უფროსთა მაღალ სახელწოდებებს, ისინი საბჭოთა კავშირის მტრებზე ჰყიდდნენ ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო საიდუმლოებებს, ძირს უთხრიდნენ წითელი არმიის სახელოვან ძლიერებას და საზოგადოდ აკეთებდნენ ყველაფერს, რათა დაეჩქარებინათ გარეშე მტრის თავდასხმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირზე.

ისინი თავიანთი გამცემლური მოქმედებით, აშკარა ღალატითა და მავნებლობით ფრონტის ტექნიკური და მატერიალური მომარაგების დარგში და საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელობის საქმეში იმედოვნებდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ ომის შემთხვევაში დაემარცხებინათ წითელი არმია ფრონტებზე და დაემხოთ საბჭოთა მთავრობა. ისინი დახმარებას ელოდნენ თავისი ბატონ-პატრონებისაგან— უცხოეთის ერთი სახელმწიფოს სამხედრო-ფაშისტური წრეებისაგან და ამ დახმარებისათვის მზად იყვნენ დაეთმოთ საბჭოთა უკრაინა, დაექუცმაცებინათ ჩვენი ქვეყანა ნაწილნაწილად.

ამ გამცემლებმა კარგად იცოდნენ, რომ ვერც ერთ მომხრეს ვერ ჰპოვებდნენ მუშებსა და გლეხებს შორის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრებს შორის და ამიტომ მუშაობდნენ მოტყუებით, ემალებოდნენ ხალხსა და წითელარმიელებს და ეშინოდათ ეჩვენებინათ თავიანთი ნამდვილი სახე.

ხალხის ამ მტრებს დანაშაულზე წაასწრეს. დაურღვეველი ფაქტების სიმძიმის ქვეშ, ისინი გამოტყდნენ თავის გამცემლობაში, მავნებლობასა და ჯაშუშობაში.

მთავარი ორგანიზატორები, ხელმძღვანელები და ჯაშუშები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ ბურჟუაზიული ფაშისტური ქვეყნების გენერალურ შტაბებთან, გამომჟღავნებული არიან და მათ დამსახურებული საზღაური მიიღეს საბჭოთა მართლმსაჯულებისაგან.

მუშურ-გლეხური წითელი არმია, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული და საიმედო დასაყრდენი, დაუნდობლად ჰკვეთს ამ წყლულს თავის ჯანსაღ სხეულზე და სწრაფად სპობს მას. მტრებს ანგარიში შეეშალათ. ისინი ვერ მოესწრებიან წითელი არმიის დამარცხებას. წითელი არმია იყო და დარჩება უძლეველი. მსოფლიო ფაშიზმი ამჯერადაც გაიგებს, რომ მისი ერთგული აგენტები გამარნიკები, ტუხაჩევსკები, იაკირები და უბორევიჩები და გამცემთა დანარჩენი ლეში, რომლებიც ლაქიურად ემსახურებოდნენ კაპიტალიზმს, აღგვილი არიან პირისაგან მიწისა და მათი ხსოვნა იქნება დაწყევლილი და დავიწყებული.

ამხანაგებო!

წითელი არმია არის და მუდამ იქნება ხორცი-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანი გამარჯვებული ხალხისა, რომელიც ახალ სოციალისტურ ცხოვრებას აშენებს. ჩვენ ვწმენდთ ჩვენს რიგებს ფაშისტურ-ჯაშუშური სისაძაგლისაგან და ამიერიდან არ დავუშვებთ ასეთი სამარცხვინო ფაქტების განმეორებას. ვწმენდთ რა ჩვენს არმიას დამპალი ნაყარნუყარისაგან, ჩვენ ამით ვხდით მას კიდევ უფრო ძლიერსა და უვნებადოს. არმია მტკიცე ხდება იმით, რომ თავს იწმენდს უწმინდურობისაგან.

წითელი არმია მოვალეა და ეყოლება ბოლომდე პატიოსანი, მუშათა და გლეხთა საქმის ერთგული, ნამდვილად თავის მეთაურ-უფროსთა შემადგენლობა.

წითელი არმია მთლიანად, წითელარმიელიდან უმაღლეს უფროსამდე, იყო, არის და მუდამ იქნება ერთიანი, ძლიერი, მონოლიტური მებრძოლი კოლექტივი.

ჩვენი შესანიშნავი არმიის რიგებში ადგილი არა აქვთ და ადგილი არასოდეს არ ექნებათ გამცემთ, ფიცისა და სამშობლოს მოღალატეებს.

ამხანაგებო, გავაათკეცოთ ბოლშევიკური სიფხიზლე, გავაძლიეროთ და რადიკალურად გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა ყველა დარგში, გავაძლიეროთ თვითკრიტიკა და ამით დავაჩქაროთ ხალხის მტერთა მუშაობის შედეგების სრული ლიკვიდაცია.

ძირს ფაშისტი გამცემნი!

სიკვდილი ჯაშუშებსა და მოღალატეებს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიადს ლენინ-სტალინის პარტიას!

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი
საბჭოთა კავშირის მარშალი: კ. ვოროშილოვი.

ხალხი იწონებს ღირსეულ განაჩენს

პროლეტარული დივიზიის მებრძოლთა ფიცი

მოსკოვი, 12 ივნისი (საქდესი). მოსკოვის პროლეტარულ მშრომელთა წითელდროშოვანი დივიზიის მებრძოლნი და მეთაურნი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენს გამცემელთა და ფაშისტ ჯაშუშთა საზიზღარი ხროვის — ტუხაჩევსკის, იაკირის, უბორევიჩის, კორკისა და სხვათა მიმართ.

გამართულ მიტინგზე მებრძოლებმა და მეთაურებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ პროლეტარული სასამართლოს განაჩენი არის ჩვენი სამშობლოს 170 მილიონიანი ხალხის განაჩენი, მთელი წითელი არმიის განაჩენი. ყველა გამოსულნი გამოსთქვამდნენ თავიანთ წითელარმიულ მადლობას პროლეტარული დიქტატურის ფხიზელი დარაჯის— შინსახკომისა და სახელმწიფოებრივი უშიშროების გენერალური კომისრის ამხანაგ ეჟოვისადმი, რომელთაც გამოააშკარავეს წითელ არმიაში მოქმედ ფაშისტ ჯაშუშთა და მოღალატეთა კრაზანების ბუდე. მიღებულ რეზოლუციაში დივიზიის მებრძოლნი, მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობა აცხადებენ:

„ჯაშუშთა ბანდის გამომჟღავნება და მისი გასამართლება არის ჩვენი წყობილების ძალის, ძლიერებისა და ურყევლობის ნიშანი. 8 არამზადის, გამცემის, მოღალატისა და ფაშიზმის აგენტის დახვრეტა არის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მთელი ხალხის ერთადერთი სწორი და სამართლიანი განაჩენი.

დიდი და წმიდათა-წმიდაა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთა სიძულვილი ხალხის მტრებისადმი. კაპიტალისტური მსოფლიოს მზვერავებს არ აქვთ და არც ექნებათ ჩვენში არავითარი დანდობა. ჩვენ, წითელი არმია, ვართ და ყოველთვის ვიქნებით არმია გამარჯვებული ხალხისა, რომელიც აშენებს ახალ სოციალისტურ ცხოვრებას.

ძირს ფაშისტ-ტროცკისტი გამცემლები! სიკვდილი ჯაშუშებსა და მოღალატეებს!

ჩვენ ფიცს ვდებთ გავაათკეცოთ ჩვენი სიფხიზლე და მოვსპოთ ხალხის მტერთა მავნებლობის შედეგები. ჩვენ მზად ვართ ჩვენი პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე გამოვიდეთ, როგორც ერთი კაცი, ჩვენი საყვარელი სამშობლოს წმინდა საზღვრების დასაცავად და მძლავრი გამანადგურებელი და საბოლოო ლახვარი ჩავცეთ ყველა მტერთ, რომელნიც ხელჰყოფენ სოციალისტურ სახელმწიფოს.

გაუმარჯოს ლენინ - სტალინის ჩვენს დიად პარტიას!

გაუმარჯოს მშრომელთა საყვარელ და ბრძენ ბელადს—დიდ სტალინს!

საქართველოს მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ განაჩენს

ბორჯომი, 13 ივნისი (საქდესი). გუშინ რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში გაიმართა მშრომელთა მიტინგები, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენი სამშობლოს მოღალატეთა, გამცემელთა და ჯაშუშთა— ტუხაჩევსკის, ეიდემანის, კორკისა და სხვ. მიმართ.

მინის ქარხნის მუშებმა ამხ. ხიზაძემ, საფონოვმა, იგუმენოვმა, ინჟინერმა ჯაფარიძემ და სხვ. იკისრეს ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულონ საწარმოო გეგმა, შეისწავლონ სამხედრო საქმე, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სტახანოვური მოძრაობა.

ჩვენ—ქალები, მამაკაცებთან ერთად დავიცავთ ჩვენს მძლავრ სამშობლოს. კიდევ უფრო შევმჭიდროვდეთ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო,—სთქვა ქარხნის მუშამ ოლღა მაისურაძემ.

○

ქუთაისი, 13 ივნისი (საქდესი). მიტინგს აბრეშუმის კომბინატში 700-ზე მეტი კაცი დაესწრო. მხურვალე სიტყვებით, რომლებიც აღსავსე იყო სიძულვილითა და ზიზღით სამშობლოს გამცემელთა და მოღალატეთა—ტუხაჩევსკის, ეიდემანის, კორკისა და სხვ. მიმართ, გამოვიდნენ ორდენოსანი სოფიო ხობუა, სტახანოველი ქალები გოკელია, შახვასილი და სხვ.

მაუდის ფაბრიკის მუშებმა და სტახანოველებმა ამხ. იმედაძემ, ქილარჯიანმა, ნაფეტვარიძემ და სხვ. განაცხადეს: „არ არსებობს მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შეჩერება. სამგზის საზიზღარ ტროცკისტებს, რომელნიც ცდილობდნენ სსრ კავშირის მშრომელთათვის თავს მოეხვიათ მემამულისა და კაპიტალისტის ბატონობა, გამანადგურებელი ლახვარი მოხვდათ.

ამხ. მ. ი. ულიანოვა

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს პარტიას, მუშათა კლასს და ყველა მშრომელს, რომ 12 ივნისს 1 საათსა და 50 წუთზე მოსკოვში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტიის უძველესი წევრი, ვ. ი. ლენინის უახლოესი თანაშემწე, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს წევრი ამხანაგი

მარიამ ილიას-ასული ულიანოვა

სიკვდილი ამხ. ულიანოვასი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კომუნიზმის საქმეს შესწირა, დიდ დანაკლისს წარმოადგენს პარტიისა და სსრ კავშირის მშრომელთათვის.

მ. ი. ულიანოვას ცხოვრება, მისი ერთგულება ლენინ-სტალინის საქმისადმი და გულისხმიერი მოპყრობა მშრომელთადმი ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკისათვის გახდება მაგალითი თავდადებული ბრძოლისა კომუნიზმის გასამარჯვებლად.

სრულიად - საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

40 წელი საბრძოლო პოსტზე

აღარა გვყავს შესანიშნავი პარტიული, კრისტალურად წმინდა ბოლშევიკი მარიამ ილიას-ასული ულიანოვა, რომლის სიცოცხლე მთლად პარტიას, ბოლშევიზმის საქმეს შეეწირა. მარიამ ილიას ასულის მთელი ცხოვრება იყო მთლიანი წვა, განუწყვეტელი მუშაობა, რომელსაც მან უანგაროდ თავი შესწირა. ულიანოვთა შესანიშნავ ოჯახში, სადაც ყველანი დიდიდან პატარამდე რევოლუციონერები იყვნენ, მ. ი. ყველაზე უმცროსი იყო. იგი ჯერ კიდევ 17 წლისა ეზიარა რევოლუციურ საქმიანობას, დახმარებას უწევდა ლენინს მის ლიტერატურულ მუშაობაში მასალების მოძებნის მხრივ, იწერდა მისთვის ცხრილებს, აკეთებდა ამონაწერებს წიგნებიდან და ჟურნალებიდან, დახმარებას უწევდა უფროს დას—ანა ილიას-ასულს—ძმისთვის საპყრობილეში, გადასახლებაში და საზღვარგარეთ მასალის გადაგზავნაში.

მშობლებთან ლენინის მიწერ-მოწერიდან ჩანს მისი უდიდესი სიყვარული და მზრუნველობა ოჯახსა და მ. ი.-ზე. ერთ ხანს მას აწუხებს, რომ მ. ი. გადატვირთულია სწავლით. მ. ი. უპასუხებს მისთვის ფრიად დამახასიათებელ ფრაზით: „რაკი აკეთებ, კარგადაც უნდა აკეთო“. ეს არ არის ბავშვური ფრაზა, არამედ იგი სერიოზული აზრია, რომლითაც გამსჭვალულია მ. ი.-ის მთელი ცხოვრება. „კარგად უნდა აკეთო“. ყოველ საქმეს, რომელსაც კი ავალებდა მას პარტია, მ. ი. თავს სწირავდა მთლიანად, პირდაპირ იწოდა მუშაობაზე, არ ზოგავდა არც ძალღონეს, არც ჯანმრთელობას. ასეთი იყო იგი მთელ თავის სიცოცხლეში.

7 ივნისს საღამოს 8 საათამდე იგი იყო პარტიის მოსკოვის საოლქო კონფერენციაზე და შემდეგ, შინ გაუვლელად, წავიდა სამუშაოდ. მომაკვდინებელმა ავადმყოფობამ უეცრად დასცა იგი. არ არის ავადმყოფობის დრო, არ არის დრო საკუთარ თავზე იზრუნო, არ არის დრო ანგარიში გაუწიო შენს დასუსტებულ ორგანიზმს, შენს თანდათანქრობად ძალღონეს.

მ. ი.-ის მეორე თვისება, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მისი ცხოვრება — ეს არის ზრუნვა ადამიანებზე.

მ. ი. მომხიბლავი ადამიანი იყო, რომელშიაც ბოლშევიკური პრინციპულობა, სიმტკიცე, პარტიის ინტერესების ყველაფერზე უფრო მაღლა დაყენების უნარი საოცრად შეხამებული იყო გულხმიერებასა და განსაკუთრებულ ილიჩურ ზრუნვასთან ადამიანებზე.

მას შეეძლო ყოველ ადამიანს უბრალოდ მისდგომოდა, უბრალოდ გაეწია დახმარება, საქმე გაეკეთებინა ისე, რომ არავის არ ეგრძნო თავი დავალებულად. ეს ილიჩური თვისება განსაკუთრებით ძლიერი იყო მ. ი.-ში. ლენინ-სტალინის დიად ლოზუნგს—ზრუნვას ადამიანებზე მ. ი. უკლებლივ ახორციელებდა.

და კიდევ: ბოლშევიკური თავმდაბლობა. მ. ი.-ს არ სჭირდებოდა თავისთავზე ემუშავნა, რათა თავისში გამოემუშავებინა ეს თვისება, ეს მისთვის ჩვეული იყო, მისი ბუნება იყო.

იგი გარდაიცვალა საბრძოლო პოსტზე, ემსახურა რა პარტიას, მუშათა კლასს თავისი შეგნებული ცხოვრების 40-ზე მეტ წელს.

და აი უკვე აღარ არის ჩვენს შორის ის, ვინც სდუღდა შესანიშნავი ბოლშევიკის საბრძოლო სიმამაცით. არ გინდა დაიჯერო, რომ აღარა გვყავს ვ. ი. ლენინის ეს მუდმივი თანამშრომელი, რომელმაც უანგაროდ შესწირა თავი კაცობრიობის გათავისუფლების დიად საქმეს, კომუნიზმის საქმეს, ლენინ-სტალინის დიად საქმეს.

დ. ი. ულიანოვი.
ნ. კ. კრუპსკაია.
ზ. პ. კრჟიჟანოვსკაია.
გ. მ. კრჟიჟანოვსკი.
ე. დ. სტასოვა.
მ. მ. ესენი.
ს. პ. შესტერნინა.
პ. ა. კრასიკოვი.
ვ. ა. შელგუნოვი.
ს. ვ. მალიშევი.

ი. ი. რადჩენკო.
ლ. ა. ფოტიევა.
რ. ხ. ოგრაზცოვა.
ს. ი. მოისეევი (ზეფირი).
პ. ფ. კუდელი.
ა. დ. კალინინა.
მ. ი. გლიასერი.
ვ. რ. მენჟინსკაია.
ლ. ნ. სტალი.
ა. ი. სოლოვიოვა.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 12 ივნისს, 1 საათსა და 50 წუთზე გარდაიცვალა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს წევრი

მარიამ ილიას-ასული ულიანოვა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 12 ივნისს 1 საათსა და 50 წუთზე გარდაიცვალა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს წევრი, საბჭოთა კონტროლის კომისიის საჩივართა ბიუროს გამგე —

მარიამ ილიას-ასული ულიანოვა.

ამხ. მ. ი. ულიანოვა

სამედიცინო დასკვნა

მ. ი. ულიანოვას ავადმყოფობისა და გარდაცვალების შესახებ

მ. ი. ულიანოვა მთელი რიგი წლების განმავლობაში ავად იყო არტერიოსკლეროზით და მკვეთრად გამოხატული ჰიპერტონიით (სისხლის გაძლიერებული წნევა).

1931 წელს მ. ი. ულიანოვამ გადაიტანა ფილტვების მეტად მძიმე ანთება, რის შემდეგ მას მარჯვენა ფილტვში განუვითარდა სკლეროზის პროცესები, რომლებიც დროდადრო მწვავდებოდნენ. მკვეთრად გამოხატული ჰიპერტონიის ნიადაგზე მ. ი. ულიანოვას 1937 წლის 7 ივნისს, 20 საათსა და 30 წუთზე, მუშაობის დროს აუტყდა თავის ძლიერი ტკივილი, კონვულსიური შეტევა და დაეკარგა ცნობიერება, რაც გამოწვეული იყო სისხლის ჩაქცევით ტვინში და მის გარსში. სისხლის უხვად გამოშვებითა და წურბელების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ცოტახნით ავადმყოფის გონს მოყვანა, მაგრამ მალე ისევ დაჰკარგა ცნობიერება. მეორე კონვულსიური შეტევის შემდეგ, რაც იმავე საღამოს, ორი საათის შემდეგ მოხდა, მ. ი. ულიანოვას მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და ავადმყოფმა ცნობიერება უფრო მეტად დაჰკარგა.

9 ივნისს გაჩნდა გულის მოქმედების მზარდი სისუსტისა და ნერვული ცენტრების მოქმედების დასუსტების ნიშნები. 10 და 11 ივნისს მ. ი. ულიანოვას მდგომარეობა უფროდაუფრო უარესდებოდა.

ყველა მიღებული ღონისძიება მხოლოდ მოკლე ხნით იძლეოდა უმნიშვნელო ეფექტს. ავადმყოფი გონს არ მოდიოდა. გულის მოქმედება უფროდაუფრო სუსტდებოდა და 12 ივნისს, 1 საათსა და 50 წუთზე, მ. ი. ულიანოვა გარდაიცვალა გულის მოქმედების დაცემის მოვლენათა გამო.

კრემლის სამკურნალო-სანიტარო სამმართველოს უფროსი ი. ხოდოროვსკი
პროფესორი მ. კონჩალოვსკი.
პროფესორი მ. კროლი.
პროფესორი მ. მარგულისი.
პროფესორი ბ. ვეისბროდი.
დოცენტი მ. რაპოპორტი.
ექიმი ლ. ლიმჩერი.
ექიმი ლ. ფუქსი.
ექიმი ი. კონოვალოვი.
მოსკოვი, 1937 წ. 12 ივნისი.

მ. ი. ულიანოვას დაკრძალვა

მოსკოვი, 13 ივნისი (საქდესი). ამხ. მ. ი. ულიანოვას დაკრძალვა მოხდება 14 ივნისს, წითელ მოედანზე 18 საათზე.

მას შემდეგ, რაც ურნას ამხ. მ. ი. ულიანოვას ნეშტით წითელ მოედანზე მიასვენებენ — ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან შესდგება სამგლოვიარო მიტინგი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საქართველოს ბოლშევიკებსა და ყველა მშრომელს, რომ გარდაიცვალა უძველესი ბოლშევიკი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ამხანაგი

მარიამ ილიას-ასული ულიანოვა

რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა კომუნიზმის გამარჯვების საქმეს

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 12 ივნისს 1 საათსა და 50 წუთზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ლენინ-სტალინის პარტიის უძველესი წევრი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიუროს წევრი, საბჭოთა კონტროლის კომისიის საჩივართა ბიუროს გამგე

მარიამ ილიას-ასული ულიანოვა.

ჩაის კრეფა

მიწსახკომის 10 ივნისის ცნობებით

რაიონები	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან კილოგრამობით	მოკრეფილია ივნისში კილოგრამობით	წლიური გეგმის შესრულება პროც.	ივნისის გეგმის შესრულება პროც.
ბათუმი	126.877	4.816	24	5,8
ქობულეთი	667.160	40.253	22,4	7
აჭარის საბჭოთა მეურ. ტრესტი.	56,093	2.191	24,3	5,6
სულ აჭარის ასსრ	850.130	47.860	23,5	6,7
გალი	355.389	32.208	30,6	16,4
ოჩამჩირე	152.382	6.286	23,4	5,7
სულ აფხაზეთის ასსრ	507.771	38.494	28	12,5
მახარაძე	1.020.305	70.993	21,4	7.8
ჩოხატაური	184.706	16.972	25.6	14
ლანჩხუთი	596.268	42.408	24,2	10.2
სამტრედია	38.724	3.260	32.2	17,1
წულუკიძე	59.944	5.927	30	18,5
ქუთაისი	12.356	720	30.8	12
ტყიბული	56.893	3.148	31.6	11,2
ცხაკაია	159.790	2.745	27	3
გეგეჭკორი	249.031	15.969	31,5	12
ზუგდიდი	433.642	20.578	26.2	16
წალენჯიხა	143.800	4.841	23,1	4.1
ჩხოროწყუ	130.236	8.903	27,7	11,2
ხობი	50.301	2.451	29,5	8,4
სულ	4.493.897	284.269	24,7	8,7.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

საქ. დეპეშათა სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი ვალენსიიდან გადმოგვცემს დაწვრილებითს ცნობებს გვადალახარის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში რესპუბლიკელთა მიერ წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შესახებ. მეამბოხეებმა დაჰკარგეს 300-ზე მეტი კაცი. რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს დაახლოვებით 50 ტყვე, მათ შორის ერთი კაპიტანი. იერიშის დროს მოქმედებდნენ ხმამაღლა მოლაპარაკენი, რომელნიც მეამბოხეებს მოუწოდებდნენ დანებებულიყვნენ. ტყვეები მეტწილად ძალდატანებით მობილიზებული გლეხები არიან. მათი გადმოცემით, მეამბოხეთა იმ ჯარებში, რომლებიც დაბანაკებული არიან სიგუენსის რაიონში, მთელი სარდლობა იტალიელთა ხელშია. სალამანკაში გერმანელთა რაოდენობა ისე დიდია, რომ მათთვის ყაზარმებად კერძო სახლებს იყენებენ. ტყვეები ლაპარაკობენ აგრეთვე უმუშევრობაზე ფაშისტების ზურგში და გლეხობის მძიმე მდგომარეობაზე.

მეამბოხენი განაგრძობენ მადრიდისათვის ზარბაზნების დაშენას.

ასტურიის ფრონტი

როგორც ბილბაოდან იუწყებიან, მთავრობის ჯარებმა 10 ივნისს იერიში მიიტანეს 190-ის სიმაღლეზე, რომელიც გილეროს და ანდალიონის მთებს შუა მდებარეობს. მეამბოხეებმა, რომლებიც ამას არ მოელოდნენ, უწესრიგოდ დაიხიეს უკან. მტერმა ყუმბარები დაუშინა ტრუბიას, რომელსაც ესროლა დაახლოვებით 200 ყუმბარა.

ბისკაის ფრონტი

11 ივნისს საღამოს გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობის თანახმად, მეამბოხეებმა, 35 თვითმფრინავის მიერ საჰაერო ბომბარდირების შემდეგ, გააფთრებული იერიში მიიტანეს. მტრის იერიში მოგერიებულ იქნა. რესპუბლიკელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მეამბოხეებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს. უკანასკნელი ცნობებით, რესპუბლიკელთა ოპერაციები წარმატებით ვითარდება. ლემონის სექტორში ინიციატივა რესპუბლიკელთა ხელშია.

როგორც რეიტერის სააგენტო ბილბაოდან გადმოგვცემს, 11 ივნისს მეამბოხეთა იერიშს ბისკაის ფრონტზე დახმარება აღმოუჩინეს ტანკებმა, არტილერიამ და ავიაციამ. მეამბოხეთა მხრით მოქმედებდა 9 თვითმფრინავი „იუნკერსი-52", 3 თვითმფრინავი „იუნკერსი-86", 12 თვითმფრინავი „სავოია-81", 10 ძველი ტიპის ბიპლანი-ყუმბარმტყორცნი, რამდენიმე ყუმბარმტყორცნი „ჰაინკელი-111" და ავიაგამანადგურებელი „ფიატი". 1 „ჰაინკელი-111" ჩამოაგდეს. დღის განმავლობაში მეამბოხეთა თვითმფრინავებმა შეცდომით სამჯერ დაუშინეს ყუმბარები საკუთარ პოზიციებს. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბასკთა ჯარები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ მეამბოხეებს.

რეიტერის ბილბაოელი კორესპონდენტი, იმოწმებს რა ნახევრად-ოფიციალურ წყაროებს, გადმოგვცემს, რომ მეამბოხეები დაემუქრნენ ბასკთა მთავრობას, თუ წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობთ, ბილბაოს გერნიკასავით გავანადგურებთ საჰაერო ბომბარდირებითო.

„დეილი ტელეგრაფის" ბილბაოელი კორესპონდენტის ცნობით, ბასკთა საესკადრო ნაღმოსნებმა „სისკარმა" და „ხოსე ლუის დიესმა" 11 ივნისს პირველად მიიღეს მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, დაიწყეს რა ბრძოლა მეამბოხეთა კრეისერ „ალმირანტე სერვერასთან" ბასკთა სანაპიროზე. ამჟამად ამ საესკადრო ნაღმოსანთა მთელი ეკიპაჟი ბასკთაგან შესდგება. „სისკარმა" სროლა აუტეხა „ალმირანტე სერვერას". შემდეგ „სისკარს" შეუერთდა „ხოსე ლუის დიესი" და „ალმირანტე სერვერა", რომელსაც მისდევდნენ ნაღმოსნები, უკუ იქცა.

ახალი დოკუმენტები ესპანეთში გერმანიის ინტერვენციის შესახებ

პარიზი, 11 ივნისი (საქდესი). „ტანი" ბეჭდავს მადრიდიდან მიღებულ დეპეშას, რომელშიაც ნათქვამია, რომ გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე:

„პოლიციამ დააპატიმრა დე ლია პუენტე არევალო, რომელსაც უპოვეს ბარათი ესპანეთის ფალანგის წინანდელი ხელმძღვანელის პრიმო დე რივერას სახელზე. ამ ბარათში წერილის ავტორი პრიმო დე რივერას წინაშე რეკომენდაციას უწევს გერმანელ მოქალაქეს გუსტავ რედერ ინდელეინს.

რედერის ბინის გაჩხრეკის დროს პოლიციამ აღმოაჩინა მრავალი წერილი გერმანულ და ესპანურ ენებზე, ფაშისტური ლიტერატურა და ფაშისტური გაზეთები. აღმოჩენილი დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ, რედერი, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება, გერმანიის მთავრობის მიერ დანიშნული იყო „პროპაგანდის და პრესის ხელმძღვანელად" ესპანეთში. რედერმა ესპანეთის სხვადასხვა რაიონში გააბა აგენტურის ფართო ქსელი. რედერის ხელმძღვანელობით მუშაობდა მრავალი მემარჯვენე მოღვაწე და როგორც დოკუმენტთა ტექსტიდან სჩანს, — მუშაობდნენ გერმანიის დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობიც. ყველა დოკუმენტიდან სჩანს, რომ გერმანიის საკონსულოებს ჰქონდათ ადგილობრივი ფონდები პროპაგანდისათვის და ღებულობდნენ ესპანურ ენაზე რედაქტირებულ მასალებს პრესის ორგანოებში გასავრცელებლად".

ფაშისტური გერმანია ახალ თავდასხმას ამზადებს რესპუბლიკურ ესპანეთზე

ბერლინი, 12 ივნისი (საქდესი). ფაშისტური გერმანია, როგორც სჩანს, ახალ თავდასხმას ამზადებს რესპუბლიკურ ესპანეთზე. ამას მოწმობს გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცრუ პროვოკაციული ცნობა სან-სებასტიანიდან, რომელიც დღეს გამოქვეყნებულია პრესაში. ამ ცრუ ცნობაში ნათქვამია, თითქოს ბილბაოს რადიოსადგურს გადაეცეს ცნობა ესპანეთის ახალი, კარგად შეიარაღებული ფლოტილიის შექმნის შესახებ გერმანიისა და იტალიის გემებზე თავდასასხმელად ხმელთაშუა ზღვაში.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო ჰბეჭდავს ამ ყალბ ცნობას და მუქარით აცხადებს, რომ „გერმანია გაბედულად და ელვის სისწრაფით იმოქმედებს ახალი სულ მცირე გამოწვევისა თუ ინციდენტის შემთხვევაში", და რომ გერმანია დაუყოვნებლივ გასცემს პასუხს „მის განკარგულებაში მყოფ ყველა საშუალებათა" დახმარებით და სხვ.

გერმანიის პრესა, თავისი ცრუ ცნობის გამოქვეყნებასთან ერთად ჩვეულებრივად ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მოლაპარაკების შეწყვეტა სადგურ მანჯურიაში

ულან-ბატორი, (საქდესი) ულან ბატორში დაბრუნდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა სადგურ მანჯურიაში. მოლაპარაკება შესწყდა იმის გამო, რომ მანჯურიის დელეგაციის თავმჯდომარე კრჯინ გარმაევი, რომელიც ვითომდა ავად გახდა, ნამდვილად გაემგზავრა ჯარების დასათვალიერებლად ხაილარის ოლქში. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი მემგზავრება ულან-ბატორში და მზად არის განაახლოს მოლაპარაკება მას შემდეგ, რაც მიიღებს მანჯოუგოს მთავრობის წინადადებას და მიღწეული იქნება ორივე მთავრობის შეთანხმება მოლაპარაკების განახლების თარიღის შესახებ.

სისხლიანი რეპრესიები ანტიიაპონური აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ

შანხაი, 11 ივნისი (საქდესი). გაზეთ „დაგუნბაოს" გადმოცემით. იაპონელები სისხლიან რეპრესიებს მიმართავენ ჩრდილო ჩახარში ანტიიაპონურ აჯანყებათა მონაწილეობის წინააღმდეგ. გაზეთის სიტყვით, 1-დან 9 ივნისამდე ჩრდილო-ჩახარის სხვადასხვა რაიონში იაპონელებმა სიკვდილით დასაჯეს 100-ზე მეტი ჩინელი გლეხი. დაპატიმრებულია დაახლოვებით 700 გლეხი.

გერმანელ ჯარისკაცთა მასობრივი დეზერტირობა რეიხსვერიდან

ვენა, 11 ივნისი (საქდესი). შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ორგანო „ფრეიხეიტი" იუწყება, რომ იზრდება დეზერტირობა გერმანიის რეიხსვერიდან. რამდენიმე კვირის წინათ, სწერს გაზეთი, 2 ჯარისკაცმა გერმანიის მოსაზღვრე დაბა გრენცახიდან გასცურა რეინი; ისინი მივიდნენ ქალაქ ბაზელში და შვეიცარიის მესაზღვრეთა ხელისუფლების წარმომადგენლებს აცნობეს, რომ უკანასკნელ დროს მარტო მათი ლეგიონიდან გაიქცა 8 ჯარისკაცი არაადამიანური მოპყრობისა და ცუდი კვების გამო. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ ამასწინათ აახენიდან ბელგიაში გაიქცა 2 გერმანელი ჯარისკაცი.

უზენაესი სასამართლოს განაჩენი მთელი ხალხის განაჩენია

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს განაჩენს გამცემელთა, ფაშისტ ჯაშუშთა ბანდის — ტუხაჩევსკის, იაკირის, უბორევიჩისა და სხვ. საქმეზე.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყველა ნაწილში ჩატარდა მრავალრიცხოვანი მიტინგები. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში გამოხატულია ღრმა კმაყოფილება უზენაესი სასამართლოს განაჩენით ამ საზიზღარ ქვეწარმავალთა დახვრეტის შესახებ.

— მოისმინეს რა სამხედრო კომისრის ამხ. ბოკუჩავას ინფორმაცია სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს განაჩენზე საბჭოთა ხალხის გამცემელთა ტუხაჩევსკის, იაკირის, ეიდემანის და სხვათა მიმართ, № ნაწილის მეომრები და უფროსთა შემადგენლობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას სამშობლოს მოღალატეთა დახვრეტის შესახებ და ერთსულოვნად იწონებენ მას.

უზენაესი სასამართლოს განაჩენი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მთელი ხალხის განაჩენია.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაკრავთ სამარცხვინო ბოძზე უბადრუკ ქოფაკებს, სამშობლოს მოღალატეებს. ჩვენ სიტყვას ვიძლევით, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ კლასობრივ სიფხიზლეს, გავაათკეცებთ ენერგიას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. ჩვენ მზად ვართ პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე გავცეთ პასუხი მტრებს, რომლებიც აღმართავენ ხელს ჩვენი სამშობლოს, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის, ჩვენი ბელადისა და მისი თანამებრძოლთა სიცოცხლის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს უძლეველ წითელ არმიას და მის სარდალს ამხანაგ ვოროშილოვს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ სტალინს!

○

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით მიესალმებიან სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს განაჩენს, რომელიც გამოტანილ იქნა საზიზღარ გამცემელთა და ჯაშუშთა ბანდის მიმართ, ხარტილერიო პოლკის მეომრები და მეთაურ-უფროსთა შემადგენლობა.

უზენაესი სასამართლოს განაჩენი, — სწერენ თავის რეზოლუციაში არტილერისტები, — მთელი საბჭოთა ხალხის განაჩენია, რომელიც მოწმობს საბჭოთა წყობილების ძალას, სიმძლავრესა და შეურყევლობას. არ შეიძლება არსებობდეს სხვა გრძნობა, გარდა სოციალიზმის ქვეყნისათვის, მუშათა კლასის დიქტატურის ქვეყნისათვის სიამაყის გრძნობისა.

○

არტილერისტების ბანაკში შეიკრიბა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ მეომრები, მეთაურები და მათი ოჯახები. მას შემდეგ, რაც წაკითხულ იქნა ცნობა უზენაესი სასამართლოს განაჩენზე ჯაშუშების—სამშობლოს მოღალატეების მიმართ, გამოვიდნენ მეომრები და მეთაურები.

— ამხანაგი სტალინი დიდი ხნის გვაფრთხილებდა,—ამბობს უმცროსი მეთაური ამხ. პეტროსიანი,—რომ მტერი იცვლის ბრძოლის მეთოდებს. მტერი ახლა გამოდის არა აშკარად, არამედ მოქმედებს ფარულად, შემპარავად. უნდა ვიყოთ ფხიზლად, მტერი რომ გამოვიცნოთ.

ხალხის მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ. პროლეტარულმა სასამართლომ სათანადო მიუზღო სამგზის შეჩვენებულ გამცემლებსა და ჯაშუშებს—ტუხაჩევსკის, იაკირსა და სხვებს. ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია მზად არის ყოველ წუთში გასცეს პასუხი იმას, ვინც შეეცდება თავს დაგვესხას. ჩვენ კიდევ უფრო შევმჭიდროვდებით ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ.

○

სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის ორათასიანი კოლექტივი ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდა სასამართლოს განაჩენს ჯაშუშთა, სამშობლოს გამცემელთა ბანდის—ტუხაჩევსკის, ეიდემანის, კორკისა და სხვათა მიმართ. ეს განაჩენი ასახავს მთელი საბჭოთა ხალხის ნებასურვილსა და მოთხოვნას მოსისხლე მტრების მოსპობის შესახებ.

მიტინგზე გამოსული მუშები-ქარხნის სტახანოველები ამხ. სოხაძე, ნათაძე, მარჭაროვი, აოქელოვი, ეგორაშვილი და სხვები ლაპარაკობდნენ, რომ აუცილებელია კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბოლშევიკური სიფხიზლე, ბოლომდე ვამხილოთ და მოვსპოთ სოციალისტური სამშობლოს ამ საზიზღარ გამცემელთა ხელშემწყობნი.

— ჩვენ,—ნათქვამია ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში,—დღითი-დღე განვამტკიცებთ ჩვენი მშობლიური წითელი არმიის საბრძოლო სიმძლავრესა და ტექნიკურ აღჭურვილობას და ჩვენი მძლავრი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას. და როდესაც საჭირო იქნება, პარტიისა და მთავრობის პირველ დაძახებისთანავე, მკერდით დავიცავთ საბჭოების ქვეყნის წითელ საზღვრებს.

○

გუშინ თბილისის წარმოება დაწესებულებებში გაიმართა მასობრივი მიტინგები, სადაც მშრომელნი ერთხმად იწონებდნენ სასამართლოს განაჩენს.

◆

„დეილი უორკერი" საკადრის პასუხს აძლევს ანტისაბჭოთა ცილისმწამებლებს

ლონდონი, 11 ივნისი (საქდესი). უპასუხებს რა გაზეთების, განსაკუთრებით „დეილი ჰერალდის" ბოლოდროინდელ ანტისაბჭოთა გამოსვლებს, კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერი" აბათილებს ყოველგვარ ცდას დახატონ საბჭოთა კავშირი სუსტ სახელმწიფოდ როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო საქმის მხრივ. მოუწოდებს რა მუშებს პროტესტი განაცხადონ „დეილი ჰერალდის" ცილისმწამებლური ჭორების წინააღმდეგ. „დეილი უორკერი" აღნიშნავს: ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია ძირფესვიანად მოსპოს კორუპციისა და მავნებლობის ყველა ელემენტი, წარმოადგენს ძალის და არა სისუსტის დემონსტრაციას, რასაც უნდა მიესალმებოდეს მუშათა კლასის ყველა ორგანიზაცია.

მიხ. ბარამია

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება

შესრულდა ბატონყმობის წინააღმდეგ სამეგრელოს გლეხობის პირველი მასობრივი აჯანყების 80 წელი.

როგორი იყო სოციალურ - პოლიტიკური პირობები, რომლებმაც გამოიწვია სამეგრელოს გლეხობის ცნობილი აჯანყება უტუ მიქავას მეთაურობით?

მაშინდელი სამეგრელო ხასიათდებოდა საშუალო საუკუნეთა ფეოდალური წყობილების ყველა თვისებით.

ბატონყმობის აუტანელი წესები, შეძამულე თავად-აზნაურობის განუსაზღვრელი უფლებები გლეხების მიმართ უკანასკნელთ წარმოუდგენელ არაადამიანურ პირობებში აყენებდა.

ამ პირობების მოსაგონებლად შესაძლებელია მოვიყვანოთ ცნობილი მოგზაურის შარდენის დახასიათება მაშინდელ სამეგრელოს შესახებ.

„მაღალი წოდება — ამბობს შარდენი — თავისი ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების პატრონია, იმას უშვრება, რაც უნდა: წაართმევს ცოლს, შვილებს, შეუძლია გაჰყიდოს და მოიხმაროს ყველაფრისათვის, რაც მოეჭირვება. ყოველ გლეხს მოაქვს თავის ბატონთან ამდენი და ამდენი საწყაო ხორბალი, ამდენი და ამდენი საქონელი, ღვინო და სხვა სამეურნეო ნაწარმოები, ასე რომ მებატონის სიმდიდრე განიზომება იმ გლეხების რიცხვით, რომლებიც მას ჰყავს ყმებად. ყოველი გლეხი ინახავს მებატონეს თავის საჭმელ-სასმელზე ერთ, ორ ან სამ დღეს წელიწადში, ამიტომ უმაღლესი წოდება მთელი წლის განმავლობაში ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადადის და პირიდან ლუკმას აცლის თავის, და ზოგჯერაც სხვის გლეხებს".

ამ მდგომარეობას უკიდურესობამდე ართულებდა დაუსრულებელი ომები, რომლებსაც აწყობდა სამეგრელოს სამთავრო მეზობელ სამთავროებთან, და გარეშე სახელმწიფოთა შემოსევა, როგორც მთელ საქართველოს, ისე, კერძოდ, სამეგრელოს ტერიტორიაზედაც. მთელი 100 წლის განმავლობაში სამეგრელო განიცდიდა ოსმალეთის მძიმე ბატონობას, რომელსაც სამეგრელო ხარკის სახით ყოველწლიურად აძლევდა რჩეულ ქალთა და ვაჟთა განსაზღვრულ რაოდენობას.

სამეგრელოს რუსეთის ქვეშევრდომად გახდომას (1803 წ.) არავითარი გაუმჯობესება არ შემოუტანია. რუსეთის ცარიზმის შემოსვლით მშრომელი გლეხობა მოექცა ორმაგი ექსპლოატაციის მძიმე უღელ ქვეშ — თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატისა და თავად-აზნაურთა უსაზღვრო მფლობელობის სახით.

მცირერიცხოვანი თავად-აზნაურობა ჰფლობდა სამეგრელოს მშრომელ გლეხობას.

1860 წ. აღწერილობის მიხედვით სამეგრელოში დაახლოვებით 127.000 მცხოვრები იყო. აქედან მაღალი წოდება (ბატონიშვილები, თავადები, აზნაურები და სასულიერო წოდება) 14.000 იყო, ხოლო დანარჩენ 113.000 მცხოვრებს დაბალი წოდება შეადგენდა. დაბალი წოდების გლეხობიდან სამეგრელოს სამთავროს ეკუთვნოდა დაახლოვებით 14.000-მდე კაცი, საეკლესიო გლეხები იყვნენ 15.000-მდე.

ბატონიშვილებს (სულ 215 კაცს) ეკუთვნოდა 22.000-ზე მეტი გლეხი, თითო ბატონიშვილზე საშუალოდ 104 კაცი მოდიოდა, ხოლო 10.000 თავადსა და აზნაურს ეკუთვნოდა 60.000 გლეხი.

ბატონის ხელში გლეხები უბრალო ნივთად იყვნენ ქცეულნი. ბატონს, თავად-აზნაურს სრული უფლება ჰქონდა თავისი გლეხი როგორც უნდოდა ისე გამოეყენებინა. თუ მოეპრიანებოდა — მოჰკლავდა მას, როცა მოესურვებოდა — გაჰყიდდა ან გაასაჩუქრებდა, ან კიდევ საჭიროების მიხედვით გადასცვლიდა მონადირე ძაღლზე და სხვ.

სამეგრელო ავტონომიური იყო შინაგანი მართვა-გამგეობის მხრივ. დადიანები — სამეგრელოს მთავრები — სრულიად უკონტროლოდ და შეუზღუდავად მოქმედებდნენ, ასევე — სახლთუხუცესი, მოურავი, თვითეული თავადი და აზნაური.

გლეხებს უფლება არ ჰქონდათ ელაპარაკნათ უსამართლობაზე და მებატონის მხრივ რაიმე უკანონობაზე. ოდნავი ურჩობისა და წინააღმდეგობისათვის შემოღებული იყო დასჯის საშინელი მეთოდები: ხუნდებზე დასმა, ქანჩების (ხის ჭახრაკებიანი იარაღი) მოჭერა, ფუთიანი ჯაჭვებით დაბმა, თვალების ამოთხრა გახურებული შანთით, ცოცხლად მიწაში დამარხვა და სხვ.

ზუგდიდის მუზეუმში ინახება იმდრონინდელი ჯალათის ხანჯალი, რომლის სიგრძე ერთ მეტრზე მეტია. ასეთ ხანჯლებს ხმარობდნენ მთავრები და თავად-აზნაურები თავისი „ურჩი" გლეხებისათვის ხელის, ფეხის ან თავის მოსაკვეთად.

ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში გმინავდა გლეხობა, როცა 1856 წ. სამეგრელოს ისევ შემოესია ოსმალეთის ჯარი. ოსმალეთის ჯარმა, რომელსაც ომერ-ფაშა მეთაურობდა, აწიოკა და ააოხრა სამეგრელო, სადაც ის 6 თვეს პარპაშობდა.

1857 წ. აჯანყება, უტუ მიქავას მეთაურობით, — ეს იყო სამეგრელოს მშრომელთა პირველი შეიარაღებული გამოსვლა ბატონყმობის დასამხობად.

როგორ დაიწყო აჯანყება?

1853 წ. გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი. რადგან მისი უფროსი შვილი — ნიკოლოზი — მაშინ მხოლოდ 7 წლისა იყო, სამეგრელოს მმართველად დაინიშნა დავით დადიანის მეუღლე ეკატერინე (ალექსანდრე ჭავჭავაძისასული). რომელსაც სახელმწიფო საქმეთა მართვა-გამგეობის საჭირო ცოდნა - გამოცდილება და უნარი არ ჰქონდა.

სპეციალური საბჭო, რომელიც ეკატერინე დედოფალს დახმარებისათვის დაენიშნა, მუდმივი კინკლაობისა და ქიშპობის ორგანოდ გადაიქცა. ამ საბჭოს წევრები გრიგოლ და კონსტანტინე (დავით დადიანის ძმები) მუდამ ჩხუბსა და ჭორიკანობაში ატარებდნენ დროს, რათა დაემარცხებინათ ეკატერინე, რადგან თვითონ უნდოდათ დაეკავებინათ მთავრის ადგილი.

სამთავროში ამ არეულობით სარგებლობდნენ უფრო დაბალი მოხელეები და თავადაზნაურები და უკანასკნელ ლუკმაპურს ართმევდნენ გლეხობას.

ეკატერინე დედოფალმა, იმის ნაცვლად, რომ ოსმალეთის ჯართან ბრძოლაში განაწამები ხალხისათვის ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა მდგომარეობა და მეურნეობის აღდგენაში დახმარება გაეწია გლეხებისათვის, დამატებითი სამუშაო ბეგარა დააწესა და თავის ოჯახის მოწყობასა და პირადი ქონების შეძენას მიჰყო ხელი.

გლეხების უკმაყოფილება თანდათან ძლიერდებოდა. სამეგრელოს ყველა კუთხეში გლეხები ირაზმებოდნენ მებატონეთა წინააღმდეგ. ასეთი დაძაბული პერიოდი იყო, როცა ეკატერინე დედოფალი 1856 წ. 7 ივლისს, მიწვევის თანახმად, მეფის გვირგვინის კურთხევაზე გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც დარჩა 1857 წ. აპრილამდე. ამ ხანებში მთავრის მამულების მმართველმა თავად დავით ჩიქოვანმა, სალხინოს სასახლის გადასაკეთებლად ხალხი ძალით მოარეკინა და გლეხები (დაავალდებულა თავიანთი საჭმელ-სასმელით ემუშავნათ, მაშინ, როდესაც წინათ საბატონო სამუშაოზე, გლეხებისათვის ბატონს საჭმელი მაინც უნდა მიეცა.

მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა ისედაც ძალზე უკმაყოფილო გლეხებმა სასახლეში სამუშაოზე თავიანთი სიმინდი და პური მოიტანეს, მაგრამ ბატონის წისქვილზე მინდის გადაუხდევინებლად მისი დაფქვის ნებაც არ მისცეს. 1857 წ. იანვარში უკმაყოფილება ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ხალხმა ერთბაშად დემონსტრატიულად დასტოვა სასახლეში სამუშაო. როცა სახლთუხუცესმა ძალას მიმართა, გლეხებმა მას სცემეს. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. მახლობელ გორაკზე თავი, მოიყარა რამდენიმე ათასმა კაცმა და ერთმანეთს შეჰფიცეს — ერთიმეორეს არ ვუღალატოთ და სახლთუხუცესს არაფერში დავემორჩილოთო.

სწორედ ამ ხანებში აჯანყება დაიწყო ჯვარში. ამ აჯანყების შესახებ თავის მოგონებაში ძ. კვარაცხელია სწერს:

„პირველად აჯანყება ჯვარში დაიწყო, იმიტომ, რომ სოფ. ჯვარისა და ლიის მცხოვრებლებს ასახლებდნენ, რადგან სამეგრელოს დადიას უნდოდა ლიაში გაეშენებინა ხეხილის ბაღი, ხოლო ჯვარში მეფუტკრეობის განვითარებას ფიქრობდა, მოსახლეობას სამაგიერო მიწას არ აძლევდნენ. მათი პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. უტუ მიქავამ შეჰქმნა შეიარაღებული რაზმი და გაილაშქრა დადიანების წინააღმდეგ. მისი აქტიური თანამებრძოლები იყვნენ ჯვარიდან უტუ ჰანტურია, ხოლო წალენჯიხიდან ლევანა და ბათაია კვარაცხელიები".

საინტერესოა ეკატერინე დედოფლის დასახმარებლად და მისი შვილების აღსაზრდელად მიმგზავრებულის, შემდეგში სენაკის მაზრის უფროს (1858—1867 წ. წ.), მეფის ჩინოვნიკ კ. ბოროზდინის დახასიათება, რომელსაც იგი აძლევს უტუ მიქავას. ბოროზდინი თავის მოგონებაში სწერს:

„აჯანყების ბელადი და ყველაზე საინტერესო იყო —მჭედელი უტუ მიქავა; გლეხთა მოძრაობის დასაწყისიდანვე უტუ მიქავას სამჭედლო შესაკრებელ ადგილად იქცა, ხოლო თვით პატრონი, ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდა ათის წლისა, მიხვედრილი... გლეხების წინამძღოლად იქცა, ისე, რომ თვითონ ამისათვის არც კი ცდილა, ძალად თავისთავი ურავისთვის მოუხვევია. ბუნებით ფიცხ, მალე თვითონ გაიტაცა თავისმა როლმა და სულ მოკლე ხანში გლეხებს როგორც უნდოდა ისე ათამაშებდა. ბატონებს სწრაფად და ენერგიულად ემუქრებოდა; ქორივით დააცხრებოდა თავზე, წაართმევდა, რასაც კი მოიხელთებდა, ამას ურიგებდა გლეხებს და ზოგჯერ ბატონებს ტყვედ დაიჭერდა იმ პირობით, რომ თავისიანებს გამოესყიდნათ. განსაკუთრებით მისი ხუსხი ადგებოდა თავადებსა და აზნაურებს, რომელნიც სხვებზე მეტად იყვნენ ცნობილნი თავისის გულქვაობით. წერა-კითხვის მცოდნე იყო და ენაწყლიანი ლაპარაკი იცოდა, როგორც ეს დავინახეთ კოლუბიაკინთან მისი პირველად დალაპარაკების დროს, იგი გული-გულში მოძულე იყო ბატონ-ყმობისა და ყოველის ღონისძიებით მის ძირს იძიებდა თავისი ძმების საუკუნოებრივი შეწუხებისათვის".

თავის მოგონებაში სამეგრელოს აჯანყების შესახებ ჯოტი მიქავა სწერს:

„უტუ იცნობდა სამეგრელოს ყველა კუთხის მოწინავე, ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხებს. უტუს სძულდა თავადაზნაურობა და აშკარად გამოდიოდა მათ წინააღმდეგ. ხალხს ეუბნებოდა: „ხომ ხედავთ, ცხოვრება არ შეგვიძლია, მიწა ჩვენ არ გვაქვს და წყალი, სხვისთვის ვშრომობთ, ჩვენ კი მშივრები ვართ. კაცად არ გვაფასებენ, როზგი, ხუნდები, გაყიდვა, წართმევა, ძაღლებზე გადაცვლა, — აი რას გვიშვრებიან; მოდით, მომყევით ძმებო და ძალით ჩავაძაღლოთ ეს ქოფაკებიო".

უტუ მიქავამ შეადგინა შეიარაღებული რაზმი, რომელშიც 500 კაცამდე შედიოდა. ყოველ 20 კაცს ჰყავდა ბრიგადირი, რომელიც უტუს ემორჩილებოდა.

თავისი რაზმით უტუ სტეხდა ციხეებს, ანთავისუფლებდა ტყვეებს, შეუვარდებოდა თავადებს და ანთავისუფლებდა ყმებს. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ააოხრებდა. კოხტა კვარაცხელია თავის მოგონებაში აღნიშნავს:

„სოფ. კირცხში უტუ მიქავა თავისი ჯარით შევიდა თავად ტაგუ ჯიჯიხიას სახლში, შეავროვა ყმები და უთხრა: „თავისუფალი ხართ, აბა წადით თქვენს სახლში და იქ თქვენთვის იმუშავეთო". ჯიჯიხიამ წინააღმდეგობა გაუწია, მაშინ უტუმ უბრძანა ჯარს: „აბა დაამტვრიეთ ყველაფერი, დაჰკალით ხარები და ჯარისათვის სადილი მოამზადეთო" — ყველაფერი აასრულეს, ყმები განთავისუფლებულ იქნენ".

მალე აჯანყება სამეგრელოს ყველა კუთხეს მოედო. სალხინო-მარტვილის რაიონში აჯანყებას უტუია (მართალი) თოდუა ხელმძღვანელობდა, ხოლო სუჯუნა-საჭილაოს მხარეში ხელმძღვანელად კოჩა თოდუა იყო. აჯანყებულნი ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდნენ. ფიცს სდებდნენ ერთმანეთისათვის არ ეღალატნათ. მათი ლოზუნგი იყო: ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის!

აჯანყებულები შეიარაღდნენ თოფებით, ხანჯლებით, ხმლებით, წალდებით და ვისაც რაც გააჩნდა. შეიარაღებულთა რიცხვი ზუგდიდის მაზრის სოფლებიდან 10.000 კაცზე მეტი იყო, ხოლო სალხინო-მარტვილის და სუჯუნა-აბაშის სოფლებიდან 5.000-მდე აღწევდა. აჯანყების საერთო მეთაურად არჩეულ იქნა უტუ მიქავა, რომელმაც შეიარაღებულთა შორის მკაცრი დისციპლინა დაამყარა.

აჯანყებაში აქტიურ როლს თამაშობდა სამეგრელოს მთიანი ნაწილის მოსახლეობა, მარტვილის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონების სოფლებიდან.

ამას ადასტურებს ეკატერინესადმი წარდგენილი გენერალ-მაიორის გრიგოლ დადიანის მოხსენება (1857 წ. 11 მაისი, № 1), რომელშიაც ნათქვამია:

„ლაკადისა-ზემო სამეგრელოისა გლეხთა ჰქონიათ, ვითაარცა ვსცანით, თანხმობა და საცა შედგენ ლახარა (ხალხი) შეეგებებიან და მათთან ერთად შეერთებულნი მიმოვლენ სოფელთა სხვათა და სხვათა".

აჯანყებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია 1857 წ. მაისში. ეკატერინე, რომელიც პეტერბურგიდან აპრილში დაბრუნდა, თავის საზაფხულო სასახლეში—ს. გორდში იმყოფებოდა. სამეგრელოს მთავრის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი გრ. დადიანი და სამთავროს მრჩეველი — საბჭოს წევრი ეპისკოპოსი თეოფანე ჭყონდიდელი უძლურნი აღმოჩნდნენ დაემშვიდებინათ აჯანყებული გლეხები. გრ. დადიანი 1857 წ. 12 მაისს სწერდა ეკატერინეს: „ლახარა, თავშეყრილი სოფლებთაგან: წალენჯიხა, ჭკადუაშისა, ლედგებისა, ყულისკარისა, ჭაქვინჯისა, კირცხისა და ხი[illegible]სა უკვე შევიდა ზუგდიდს

ჩაის კრეფა ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ გვარდიაში“.
სურათზე: ბრიგადირი ჯოტო კაცია კოლმეურნე სტახანოველ ლ. ალუბასა და ჟ. ჟუტკაიასაგან ღებულობს ჩაის მწვანე ფოთოლს.
ფოტო პირასკევოპულოსი („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ჩამორჩენა გრძელდება

(მახარაძე, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, ბრიგადირებმა, სტახანოველებმა და აგრონომებმა, სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ჩაის რაიონების სტახანოველები და სპეციალისტები მიმდინარე წლის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების უკეთ შესასრულებლად. მახარაძის რაიონზე მოდის ჩაის კრეფის რესპუბლიკური გეგმის ერთი მეოთხედი. დაპირება საქმით უნდა გამართლდეს. ჯერჯერობით ამ საქმეში მახარაძელები ვერაფერს დაიტრაბახებენ.

ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა მახარაძის რაიონმა 92,5 პროცენტით შეასრულა. ივნისის პირველი ხუთდღიურის ტემპები დამაკმაყოფილებელი არ არის.

სოფ. დვაბზუს კოლმეურნეობას მაისში უნდა მოეკრიფა 6.336 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მოკრიფა 4.596 კგრ. სოფ. ბოხვაურის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ჩავლეშვილი) მაისის გეგმა 78,5 პროცენტით შეასრულა, ხიბაურისამ (თავმჯდომარე ამხ. გობრონიძე) — 53,6 პროცენტით.

როდემდის იქნებიან ეს კოლმეურნეობები ასე სამარცხვინოდ ჩამორჩენილნი? საჭიროა ნაკისრი ვალდებულებანი საქმით განვამტკიცოთ. ამას, უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ჩამორჩენა რაიონული გეგმის შესრულებაზე მოქმედობს.

მ. დარჩია.

◆

მოვსპოთ მინდვრის მავნებლები

მოსავლიანობის ზრდაზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენენ ჩვენში გავრცელებული მავნებლები და ავადმყოფობანი. მინდვრის თაგვმა, ცალიამ, თავთავიან კულტურათა ავადმყოფობამ (გუდაფშუტა, ჟანგა) 1934 წელს მოსავლის 4,1 პროცენტის დანაკარგი გამოიწვია, ცალკეულ მეურნეობებში კი 20-25 პროცენტზე მეტიც. 1936 წ. მავნებლებით გამოწვეული დანაკარგი დაყვანილ იქნა 0,5 პროცენტამდე. წელს ზოგიერთ რაიონში (ბორჯომი, გურჯაანი) სათესლე მასალა წესიერად ვერ შეწამლეს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

სათესლე მასალის შეწამვლის გარდა, რაიონებში მინდვრის თაგვის გავრცელების ბუდეები უნდა შეისწავლათ და საფუძვლიანად აღირიცხოთ. უნდა ითქვას, რომ ხაშურის, გორის, კასპის, გურჯაანის, ყვარლის დუშეთისა და ბორჩალოს რაიონებში მინდვრის თაგვთან ბრძოლას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ზოგიერთი რაიონი მიწსახკომს ცნობებსაც კი არ აწვდის ამ საკითხზე.

მასალა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, მოწმობს, რომ მინდვრის თაგვით გავრცელების ფართობი ალბულაღის რაიონში 7.342 ჰექტარს უდრის, თბილისსაში — 4.667-ს, თელავისში — 7.900-ს, საგარეჯოს რაიონში — 13.101 ჰექტ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ეს მასალა ვერ იძლევა სრულ სურათს თაგვის გავრცელების ფართობზე, რაც რაიმიწგანების მხრით ამ საქმის შეუფასებლობით აიხსნება.

რაიმიწგანებისა და მტს-ბის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულია თითო სპეციალისტი მავნებლებთან ბრძოლის დარგში. სინამდვილეში კი ზოგიერთი რაიონი აღნიშნულ თანხას დანიშნულებისამებრ არ იყენებს. ფაქტი: ლუქსემბურგის რაიმიწგანსა და მტს-ს, ნაცვლად თითო კვალიფიციური სპეციალისტისა მხოლოდ 1 ტექნიკოსი (მიწგანი) ჰყავთ, სიღნაღისა და ყვარლის მტს-ებს სპეციალისტები სრულებით არა ჰყავთ. თელავის რაიმიწგანში ეს სამუშაო შეთავსებით დავალებული აქვს სხვა დარგის აგრონომს. ამ მოუქნელი მუშაობით საქმე ბრკოლდება.

ეს ყოვლად შეუწყნარებელია. მიწსახკომმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში არსებულ უმსგავსოებათა აღმოსაფხვრელად.

აგრ. პ. ოდიშარია.

მგზავრებს კულტურული მომსახურება

გ. ხუნდაძე.

ა.-კ. რკინიგზის სამგზავრო დარგის უფროსი, ორდენოსანი

დადგა ერთერთი ყველაზე პასუხსაგები პერიოდი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობისა — ზაფხული. თუ შემოდგომასა და ზამთარში გაძლიერებული ტვირთზიდვა გვაქვს, ზაფხულის პერიოდის დამახასიათებელია ადამიანთა გაძლიერებული მოგზაურობა, როდესაც მშრომელნი მიემგზავრებიან აგარაკებზე დასასვენებლად, ან საექსკურსიოდ, როდესაც იწყება შინაური და უცხო ტურისტთა მოგზაურობა ქვეყნიდან ქვეყნად ან ერთი მხარიდან მეორეში, როდესაც ჩვენი სოფლები საკოლმეურნეო დოვლათით მიდიან ქალაქის ბაზრებზე და სხვ. ეს ამოძრავებული ხალხის ნაკადი უწინარეს ყოვლისა ჯერ კიდევ ყველაზე პოპულარულსა და ხელმისაწვდომ რკინიგზის ტრანსპორტს აშურებს.

ჩვენი ვალიც სწორედ ის არის, რომ მგზავრთა ამ გაძლიერებულ ნაკადებს ღირსეულად შევხვდეთ, შევუქმნათ მათ მოხერხებულად მგზავრობის პირობები, მივიყვანოთ ისინი დანიშნულ ადგილას თავის დროზე, არ შევაწუხოთ რიგში დგომით ბილეთის აღების დროს, არ დავუკარგოთ ბარგი და მივაწოდოთ იგი დაუყოვნებლივ, მოვეპყრათ გზაში თავაზიანად და მზრუნველობით. აი, ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც გვეკისრება ჩვენ, რკინიგზელთ და პირველ რიგში სამგზავრო დარგის მუშაკებს ამ ჩვენთვის მეტად პასუხსაგები მუშაობის პერიოდში.

აშკარად უნდა აღვიაროთ, რომ მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანისა და გზაში თუ ვაგზლებში მათი მომსახურების დარგში ჩვენ აქამდე კარგ მუშაობას ვერ დავიკვეხნიდით. აქ მრავალი ნაკლი გვახასიათებდა. ბევრი მათგანი გამოსწორდა, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრი დაგვრჩა.

უკანასკნელ 2-3 წლამდე სახალხო მოძრაობა ჩვენს ტრანსპორტზე მოკლებული იყო ჯეროვან ყურადღებას, იგი დიდად მოიკოჭლებდა.

საჭირო იყო ისეთი მაგარი ორგანიზატორული ხელი, ისეთი მზრუნველის მოსვლა რკინიგზის ტრანსპორტზე, როგორიც ჩვენი საყვარელი რკინის სახკომი ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩია, რომ სამარცხვინოდ ჩამორჩენილი სოციალისტური ტრანსპორტი მკვეთრად მობრუნებულიყო წარმატებისაკენ და ჯერ არნახული განვითარებისათვის მიეღწია.

ჩვენი ქვეყნის კულტ. და ეკონომიური ზრდა-განვითარების შედეგად შექმნილმა მშრომელთა გამდიდრების პირობებმა გარდაქმნეს მშრომელი მასები. ისინი უფრო კულტურული, უფრო შეძლებული გახდნენ და ამიტომ გადიდებულ მოთხოვნებს გვიყენებენ. დღეს უკვე იშვიათი აღარ არის, რომ კოლმეურნე რბილი და პირდაპირი მიმოსვლის საძინებელი ვაგონებით მოგზაურობს. იგი, კულტურულად გაზრდილი, კულტურულ მომსახურებას მოითხოვს ჩვენგან. და ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მომსახურებაც ის აღარ არის, რაც წინათ იყო. მარტო ამიერკავკასიის რკინიგზაზე 1935 წელთან შედარებით სადღელამისო სახალხო მატარებელთა რიცხვი 1936 წელს 42-ით გაიზარდა, ხოლო მიმდინარე წელს იგი 76-ით იზრდება (1935 წ. დღელამეში იყო 108 მატარებელი, 1936 წელს — 150 და წელს — 184). შესაფერისად იზრდება ადგილების რიცხვიც მატარებლებში: თუ 1935 წ. 57.262 ადგილი იყო, 1936 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 71.114-მდე და წელს გაიზრდება 88.120-მდე.

მოძმე რესპუბლიკათა მშრომელების გაზრდილი ინტერესი ამიერკავკასიისადმი, საქართველოს მთელ რიგ კურორტთა სახელის შორს გავარდნა და ბევრი მათგანის საკავშირო მნიშვნელობის კურორტებად გადაქცევა, როგორც უკანასკნელი წლების დაკვირვებიდან ვიცით, წელსაც დიდძალ სტუმარს გვიქადის ჩვენი დიადი კავშირის ყოველი მხარიდან.

ვართ თუ არა ჩვენ მომზადებული ამისათვის?

შეიძლება ითქვას, ძირითადად მომზადებული ვხვდებით მოსალოდნელ გაძლიერებულ მიმოსვლას, მაგრამ ბევრიც კიდევ გასაკეთებელი გვაქვს. საჭიროა რკინიგზის ყველა რგოლის, ყველა მუშაკის ენერგიული და თავდადებული მუშაობა ამ უაღრესად პასუხსაგები უბნის სავსებით გაჯანსაღებისათვის.

ზაფხულის პერიოდს ჩვენ ვხვდებით ყველა სადგურის შეკეთებით, რაც ნაწილობრივ უკვე დამთავრებულია. წელს სულ 150 სადგური უნდა შეკეთდეს, ამ საქმეზე 300 ათასამდე მანეთი იხარჯება. ამასთან მნიშვნელოვანი მუშაობა არის გაწეული სახალხო ვაგონების კეთილმოწყობისათვის, ბევრი ვაგონი ნოხვარდაგებით, ფარდებით, ყვავილებით იქნება მორთული. ვაგონების მორთვა-მოწყობაზე წელს 198 ათასი მანეთი იხარჯება.

წელს შევუდექით ისეთ დიდ საქმეს, როგორიცაა რკინიგზის ტერიტორიის გამწვანება სადგურების ფარგლებში. წელს ეს მუშაობა 46 სადგურზე ჩაიდება და ამაზე ნახევარ მილიონამდე მანეთი იხარჯება.

მაგრამ სახალხო მოძრაობაში, ტრანსპორტზე, მთავარი და გადამწყვეტი მაინც მოსამსახურე კადრებია. თუ ისინი არ მოვამზადეთ, თუ არ დავრაზმეთ დასმულ ამოცანათა უკეთესად გადაწყვეტისათვის, თუ რომელიმე ულირსმა მოლარემ მგზავრი შეაწუხა, თუ გამყოლმა პას შეურაცხყოფა მიაყენა, არ მოემსახურა წესიერად, ანდა მატარებელმა გზაში დაიგვიანა, ყველა ცდა, მიმართული რკინიგზით მგზავრობის საქმის გაუმჯობესებისაკენ, ფუჭი იქნება, ამას კულტურულად მორთული ვაგზლები და ვაგონები ვერ უშველის.

ამგვარად, ჩვენს საქმეში კადრები სწყვეტენ მთავარსა და ძირითადს. თვითეული რკინიგზელი, რომელიც კი რითიმე დაკავშირებულია სახალხო მატარებელთა მოძრაობასთან, გამსჭვალული უნდა იყოს უდიდესი სიყვარულით მგზავრისადმი, აფასებდეს და უფრთხილდებოდეს მის დროს, ენერგიას, ყოველთვის უნდა ახსოვდეს საყვარელი სახკომის მითითება და იბრძოდეს მისი განხორციელებისათვის. ჩვენ ბევრი გვყავს სახალხო მოძრაობის სტახანოველები მოლარე-ალადინელების სახით, ვაგონის მოწინავე გამცილებლები, ვაგზლის უფროსები. მათ მაგალითზე უნდა აღვზარდოთ დანარჩენებიც. წელს სახალხო მოძრაობის მომსახურე პერსონალის მომზადება-გადამზადებაზე გარკვეულ ხარჯებსა ვსწევთ და გარკვეულ ვადებში ვატარებთ კურსებზე 2.100-მდე კაცს (ვაგონის გამცილებლებს, საბილეთო მოლარეებს და სხვ.).

ამიერკავკასიის რკინიგზამ დიდი ზიანი ნახა ხალხის მტრების, სამგზის საზიზღრების, ტროცკისტ-დივერსანტ - ჯაშუშთა ხროვის — როზენცვეიგის, ენშის, ვარლამოვის, დანდუროვის, კეკელიძის და სხვ. მიერ მთელი რიგი წლების მანძილზე წარმოებული მავნებლურ-დამანგრეველი მუშაობისაგან. მათ დიდად ავნეს სახალხო მოძრაობასაც, მარტო იმ ტრაგედიის გახსენება რად ღირს, რომელიც გახრწნილ - გადაგვარებულმა როზენცვეიგმა თავისი დამქაშების, დანდუროვისა და სხვ. დახმარებით, გასული წლის შემოდგომაზე გორის მახლობლად დაატრიალა!

ამ ზიანს გზა დღეს ასწორებს, ამ ჭრილობებს იგი დღეს იშუშებს. ამ ნაძირალთა პასუხად ა.-კ. სახელოვანი რკინიგზელები, აღფრთოვანებულნი საყვარელი სახკომის საბრძოლო მითითებებით, რევოლუციურ-ბოლშევიკური სიფხიზლის გაასკეცებით იბრძვიან ბანდიტთა მიერ მოყენებული ზიანის გამოსასწორებლად და მიისწრაფიან წინ, ახალი წარმატებებისაკენ.

ისინი სასახელოდ უზრუნველჰყოფენ სახალხო მატარებლების უნაკლო მოძრაობასა, მგზავრთა კულტურულ მომსახურებას.

◆

გაწვევისათვის მზადება

(თელავი)

თელავის რაიონში გაიშალა წითელ არმიაში მორიგ გაწვევისათვის მზადება. გაცხოველებით მიმდინარეობს ახალგაზრდობაში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია. მიწერის დროს გამოვლინებულ 253 უცოდინარიდან 2 ივნისისათვის წერა-კითხვის უცოდინარობას ლიკვიდაცია უყო 248-მა, ხოლო 108 მცირემცოდნე მთლიანად ჩაბმულია სწავლაში.

რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. კ. გეგელიძე) თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი წვევამდელთა სწავლების საქმეს და ამიტომ შედეგიც თვალსაჩინოა.

თავდაცვა - ავიაქიმის რაისაბჭომ წვევამდელთა სამხედრო მომზადების გეგმა 100 პროცენტით შეასრულა. ასევე კარგი მაჩვენებლებით შეასრულა დაკისრებული მოვალეობა წითელი ჯვრის რაიონულმა ორგანიზაციამ. რაიონის სამხედრო კომისარმა ამხ. გიორგი ქალიაშვილმა სერიოზული მუშაობა გასწია მორიგი გაწვევისთვის მომზადებულად შეხვედრისთვის. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ გაწვევისათვის მზადყოფნის საქმეში ყველა წესიერად როდი ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ეს საყვედური პირველ რიგში ეხება რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებას, რომელიც არაოპერატიულად ხელმძღვანელობს წვევამდელთა შორის ჯანდაცვის ღონისძიებათა გატარებას. ჯანგანყოფილებამ ქალაქად წვევამდელთა მკურნალობის გასაწევად მიმაგრებული ექიმი სამჯერ გამოსცვალა, ბოლოს წვევამდელებს სამკურნალოდ ექიმი ვენეროლოგი გ. მათიაშვილი მიამაგრა. ექიმმა მისვლისთანავე განაცხადა: „ეს ავადმყოფობა ჩემი საქმე არ არის, მე მხოლოდ ვენერიულ სნეულებათა ექიმი ვარო“.

პროფკავშირული ორგანიზაციები წითელ ჯარში მორიგ გაწვევას მეორეხარისხოვან საქმედ სთვლიან. ჯერჯერობით მათ არ დაუსახავთ ღონისძიებანი მზადებაში მათი მონაწილეობისათვის.

საჭიროა დარჩენილი დროის მაქსიმალურად გამოყენება და მუშაობის იმგვარი ორგანიზაცია, რომ არსებული ნაკლოვანებები დაჩქარებით გამოსწორდეს.

შ. ორაგველიძე

ქ. თბილისის კუდრიავცევის სახელობის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ ქუთაისის აბრეშუმკომბინატთან დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულების შესასრულებლად აბრეშუმის ქსოვილების შეფერადების 30 ახალი სახე აითვისა.
სურათზე: საპრეტურო სამქროს მუშა ნინო კვალიაშვილი ფაბრიკის მიერ ათვისებულ ქსოვილთა შეფერადების ახალი ნიმუშებით.
ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს საქ. განყ.).

სტალინის რაიონის დახურულ ბაზარზე

10 ივნისიდან სტალინის რაიონის დახურულ ბაზარს დიდი გამოცოცხლება დაეტყო. საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან თავიანთი ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ორგანიზებულად მოეშურებიან კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები.

გაჩაღდა საკოლმეურნეო ვაჭრობა. ყველაფერი უხვად არის: ხორცი, ყველი, თევზი, კარტოფილი, ბოსტნეული, მწვანილეულობა ხილი და სხვა პროდუქტები.

10 ივნისამდე ხორცკომბინატი ბაზარს მხოლოდ 200 კილოგრამამდე ხორცს აწვდიდა, ახლა ყოველდღიურად 1500—2000-მდე კილოგრამს გზავნის; „აზრიბამ“ 2 ვაგონი თევზი მოიტანა; ქალაქ ორჯონიკიძიდან 5 ვაგონი სიმინდი მოვიდა.

საკოლმეურნეო ბაზრობის მესამე დღეს — 12 ივნისს — ბოგდანოვკის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ 550 კილოგრამი ყველი ჩამოიტანა, აღბულაღ-მანგლისის რაიონის არსენ ოძელაშვილის სახელობის კოლმეურნეობამ—3000 კილოგრამი ახალი კარტოფილი, ამავე რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ—2500 კილოგრამი კარტოფილი.

ამათ გარდა 12 ივნისს ბაზარზე თავისი პროდუქტებით მოვიდნენ აგრეთვე თბილისის, ბაშკიჩეთის, ყარაიას და ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობები.

ამ დღეს ფასებმა შედარებით იკლო. კილოგრამი ძროხის ხორცი ღირდა 10-11 მანეთი, ნაცვლად 12-13 მანეთისა, კილოგრამი თუშური ყველი 11 მანეთად იყიდებოდა, კარტოფილი 1 მან. და 50 კაპეიკად და ა. შ.

მაგრამ საკითხავია, როგორ მოაწყეს სავაჭრო ორგანიზაციებმა შემხვედრი ვაჭრობა? აშკარად არადამაკმაყოფილებლად.

არის ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც ჯერჯერობით თავს არ იწუხებს საკოლმეურნეო ბაზარზე საქონლის გამოტანისათვის. 12 ივნისს წერტები არ ჰქონდათ გახსნილი რაიკავშირს, „ვოენტორგსა“ და „გლავლნიანპრომს“.

ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელიც შემხვედრი ვაჭრობით გამოვიდა, ვერ აკმაყოფილებს სოფლელი მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნილებებს. მაგალითად, „დინამოს“ თავის მაღაზიაში არა აქვს საქონელი სათანადო ასორტიმენტით; შინსახკომის სავაჭრო განყოფილების მაღაზიაში საქონელი ერთფეროვანია. ამ მაღაზიის თაროებზე მეტწილად ნახავთ ღილებით სავსე ყუთებს და ფეხსაცმლის ჩოთქებს. მაღაზიის ნოქრად არის ყოფ. სპეკულანტი ოჰანეზ დავთიანი, რომელიც ფასების დამახინჯებისა და მომხმარებელთა მოტყუებისათვის ორჯერ იყო სამუშაოდან მოხსნილი.

უნდა აღინიშნოს ის დანაშაულებრივი მოქმედება, რომელიც ჩაიდინეს ხსენებულ ბაზარში საკოლმეურნეო ბაზრობის გახსნის პირველ დღეს.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია.

თბილისის საბჭოს შინავაჭრობის განყოფილების გამგის დილბანჯის განკარგულებით ბაზრის მმართველობამ ადმინისტრატიული წესით გამოასახლა თავიანთი საკუთარი წერტებიდან ტყიბულისა და ბაშკიჩეთის რაიონის კოლმეურნეობები. ისინი დროებით გადაასახლეს დახურულ ბაზარში, რის უფლებაც არავის ჰქონდა.

ტყიბულის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის საკუთარი წერტი სხვა სავაჭრო ორგანიზაციას გადასცეს. ამ კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები კი ახლა ბაზრის სხვადასხვა ადგილას არის გაფანტული და ფუჭდება.

ასევე უდიერად მოეპყრნენ ბაშკიჩეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასაც.

ვეკითხებით ამხ. დილბანჯს, ვინ მისცა მას უფლება გამოესახლებინა კოლმეურნეობა თავისი საკუთარი სავაჭრო შენობიდან! ნუთუ ეს ხელისშეწყობა და დახმარებაა?! რა პასუხს მისცემს ის კოლმეურნეებს, რომლებიც მისი უკანონო მოქმედების გამო სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

ვ. ლანდორიშვილი

მდაბიოთაგანი ყოველნი მუნ მცხოვრებნი, და ხვალისათვის შეერთებითა ზუგდიდის მცხოვრებთა ემგზავრებიან. ითარცა მოგახსენებენ, დარჩელად“. (მოხსენებითი ბარათი № 9) გრ. დადიანი და ეპისკოპოსი თეოფანე აცნობებდნენ ეკატერინეს, რომ: „ჩვენ მიერ ქმნილნი საშუალებანი, დამშვიდებისადმი აღძრულთა მათ ერთადმი შეიქმნენ უწარმატონი“.

აჯანყება უფრო და უფრო ფართოვდებოდა, აჯანყებულთა რისხვა თავადაზნაურების მიმართ ძლიერდებოდა.

„მძვინვარება ხალხთა თანდათან ძლიერდების და სოფლითი სოფლად გადადის ჰაზრითა, რათა შემტკიცებისა... რომლითა აწცა მოწევნილ არს უკიდურესობამდე, მით, რომ ეკლესიათა სტეხენ და ხატნი მუნიდგან დაჰყავან, თან მძიმეთა ტყვეთა ანთავისუფლებენ საპყრობილედან, ცოლშვილიანი თავადთა და აზნაურთა შეზღუდულ არიან უსაზღვროდ და არა აქვთ საშუალება გამოხსნისა. ესე ყოველნი ეწინააღმდეგებიან განათლებულსა წესსა რუსეთის მმართველობისასა“. — სწერდა გრ. დადიანი ეკატერინეს თავის 1857 წ. 16 მაისის მოხსენებაში, სთხოვდა აცნობებინა ეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის და ეთხოვა მისგან დახმარება შეიარაღებული ძალებით.

ეკატერინე საგონებელში ჩავარდა. სხვა გამოსავალი არ იყო, ის იძულებული გახდა დახმარებისათვის მიემართა ქუთაისის გუბერნატორ კოლუბიაკინისათვის, რომელსაც სწერდა:

„სამეგრელო მთლად აჯანყებულია, მე სრულებით არ შემიძლია თავი გავართვა. გლეხები სულ მთლად თავს გავიდნენ; შეიარაღებული ბრბოები სრულებით არ გვემორჩილებიან. თუ ღმერთი გწამსთ, თქვენ თვითონ მომეშველენით, ნიკოლოზ პეტრესძევ, და თან წამოასხით, სულ უკანასკნელი, 500 ყაზახ-რუსი მაინც; მაშინღა შემეძლება აჯანყება ჩავაქრო, ერთი წუთიც არ დააყოვნოთ. მე ქვაშხორში ვიმყოფები და ყველა მხრიდან აჯანყებულ გლეხები მარტყია. მიფარვენ ჩემი ერთგული თავადები“.

თვითონ ეკატერინე გაემგზავრა სოფლებში ხალხის დასამშვიდებლად და აჯანყებულთა შერიგების გზას დაადგა. სალხინოში 1857 წ. 16 მაისს, როგორც თვითონ ეკატერინე აღნიშნავს თავის წერილში ბებუთოვისადმი, მან მოახერხა უტუ თოდუა დაეთანხმებინა, რომ ყველა სადაო საქმეს მოაგვარებდნენ, რასაც უტუ თოდუამ ბრმად დაუჯერა და აჯანყებულნი ხობისწყლის მარცხენა მხარეს დააშოშმინეს.

იმავე წერილში ეკატერინე აღნიშნავდა, რომ: „ჯარის ნაწილი, მდ. ხობის წყლის მარჯვენა მხარეს, რომელიც უტუ მიქავას ემორჩილება წინანდელზე უფრო ძლიერ ანხორციელებს თავის მოქმედებას და ვინც წინააღმდეგობას გაუწევს, მას მთლიანად ანადგურებენო“.

ამის გამო მიქავას და მისი ჯარის მიმართ ეკატერინე უფრო მკაცრ რეპრესიებს მოითხოვდა.

მაისის 19-20 რიცხვებში კოლუბიაკინი ყაზახ-რუსებით ჩამოვიდა ქვაშიხორში, სადაც ეკატერინე დროებით სცხოვრობდა. კოლუბიაკინმა გაიგო, რომ უტუ მიქავა თავის ჯარით (10.000-ზე მეტი კაცით) დაბანაკებული იყო სენაკის მახლობლად, მდ. ცივთან, იმ ადგილას, სადაც ამჟამად შესანიშნავი კურორტი მენჯი შენდება.

მდგომარეობა რომ არ გაემწვავებინა, კოლუბიაკინი უტუს ჯართან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზას დაადგა. კოლუბიაკინთან შეხვედრისას აჯანყების მიზეზების ახსნა-განმარტების მისაცემად ზღვა ხალხმა ერთსულოვნად უტუ მიქავა დაასახელა. კოლუბიაკინზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აჯანყების ორგანიზატორისა და მთავარსარდლის გაბედულმა და დასაბუთებულმა განმარტებამ:

— ხალხი აჯანყდა იმიტომ, — ლაპარაკობდა მიქავა, რომ გლეხები სამეგრელოში თავად - აზნაურებს ადამიანებად არ მიაჩნიათ, გადასახადები უსაზღვროა, გლეხები მთელი მათი საკუთრებით, მთლიანად დამოკიდებული არიან ბატონის თვითნებობაზე. ასეთი უკანონობის წინააღმდეგ ვიბრძვით ჩვენ. „ჩვენი ხელისხლება კი ის გახლდათ, რომ ჩამოვართვით ხანჯალურები და დადიანურები, რომლითაც ისინი ზოგჯერ მთელის წლობითა გვტანჯავდენ და მათს სახლებიდან გამოვიყვანეთ ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილად კი მათი ხასები იყვენ, და ქრისტიანულის წესით გავათხოვეთ. ჩვენი სამშობლო შეგვზიზღდა, გადავსწყვიტეთ მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოთ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგნეთ ...რაც უნდათ ის გვიყონ, თუნდაც დაგვხვრიტონ ყველანი, მაგრამ ერთმანეთს შევფიცევით: არაფრის გულისთვის არ დავბრუნდეთ აქეთ. აი ოხრად კი დარჩეს ისეთი სამშობლო, სადა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, სადა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ“.

ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად უტუმ გუბერნატორს წარუდგინა აჯანყებულთა მთავარი მოთხოვნები.

კოლუბიაკინი ჯარს დაჰპირდა, რომ ეს მოთხოვნები შესრულებული იქნებოდა, თავად-აზნაურთა უსაზღვრო მადა გლეხების ექსპლოატაციისა შეიკვეცებოდა და ამ საკითხის მოსაგვარებლად რაფიელ ერისთავი (მგოსანი) დანიშნა. ეს დაპირებანი უტუს ჯარმა სიმართლედ მიიჩნია.

სამეგრელოში მომხდარი არეულობით ისარგებლეს რუსმა მოხელეებმა დიდმპყრობელური რუსიფიკატორული პოლიტიკის განსახორციელებლად. მათ სურდათ სამეგრელოს სამთავრო გაეუქმებინათ და აქაც რუსი მოხელეებისათვის ჩაებარებინათ ძალა-უფლება, ამისათვის საჭირო იყო პირველ ყოვლისა ეკატერინე დედოფლის ჩამოშორება სამეგრელოს მართვა-გამგეობისაგან, რის მისაღწევად ისინი იყენებდნენ ისევ სამეგრელოს თავად-აზნაურობას და სამაგიეროდ მხარს უჭერდნენ მათ შეენარჩუნებინათ თავიანთი წინანდელი მდგომარეობა.

სამეგრელოს გლეხობის მდგომარეობას გაუმჯობესება არ ეტყობოდა, აჯანყებები ისევ გრძელდებოდა. ასეთი აჯანყება იყო, მაგალითად, საჩიჩუოში (ზუბი, საიჯა, ხორში, ქვალონი, ბია, ნოჯიხევი), რასაც რამდენიმე კაცის მსხვერპლი და 15 კაცის ციხეში დამწყვდევა მოყვა.

1857 წ. სექტემბერში აჯანყება დაიწყო ჯვარში, რაც შემდეგ მოედო ლიას, წალენჯიხას, ჯგალს, ყულისკარს, ჰაქვინჯს, კირცხას, აბასთუმანს, ხეთას და სხვა სოფლებს. ამ აჯანყებაში რამდენიმე ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. აჯანყების ჩასაქრობად გამოგზავნილ ყაზახ-რუსებთან შეიარაღებული შეტაკების დროს მოკვდა რამდენიმე კაცი. ამ ბრძოლაში დაღუპულ სოფ. ფუქის მცხოვრებ გლეხი ჯოლოხავას მხოლოდ თავი იპოვეს ბრძოლის შემდეგ.

ამავე ხანებში (ნოემბერ-დეკემბერში) მოხდა ნახუნოვის (მარტვილის რაიონი) გლეხობის აჯანყება. ყველა ეს აჯანყებანი ჩააქრეს რუსის მეფის ჯარის საშუალებით. სამეგრელოს ყველა კუთხეში ყაზახ-რუსთა ეკზეკუცია იყო ჩაყენებული.

ამავე დროს კოლუბიაკინი და მეფის ნაცვალი ბარიატინსკი ამზადებდნენ ნიადაგს, რათა სამეგრელოდან ნებაყოფლობით მოეშორებინათ ეკატერინე დედოფალი. სამეგრელოში რუსული მართვა-გამგეობის შემოღებისა და ეკატერინეს სამეგრელოდან გაწვევის შესახებ ბარიატინსკის მიერ მეფისადმი გაგზავნილი დასაბუთების საფუძველზე, ეკატერინეს 1857 წ. 19 სექტემბერს მეფისაგან მოუვიდა წერილი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „მე გპატიჟებთ თქვენ გადმოსახლდეთ დროებითად პეტერბურგშიდ, აღსაზრდელად შვილთა თქვენთა, სადაც თქვენ ჰპოებთ მისთვის საჭირო საშუალებასა... მე ვნიშნავ განკარგულებასა თქვენსა შინა 30.000 მან. ვერცხლისა ყოველწლიურად ვიდრე სრულწლოვანამდე მთავრისა. სრულად დარწმუნებული ვარ, თქვენ მიიღებთ ამასა ვითაარცა ახალსა სიმტკიცესა ჩემსა თქვენისა ოჯახისადმი კეთილმზრუნველობისა. მე სასიამოვნოდ მიმაჩნია დაგარწმუნოთ თქვენ უცვალებელსა ჩემსა აწცა თქვენდამი კეთილმსურველობასა“. „ალექსანდრე“ — (ზუგდიდის მუზეუმში დაცული მეფე ალექსანდრეს წერილი).

ამ წერილის თანახმად ეკატერინე თავისი შვილებით პეტერბურგს გაემგზავრა 1857 წ. 25 ოქტომბერს, რითაც ბოლო მოეღო სამეგრელოს სამთავროს და აქ დამკვიდრდა მეფის მართვა-გამგეობა. სამეგრელოს მმართველად კოლუბიაკინი დაინიშნა, მაზრის უფროსებად კი—ზუგდიდში რაფიელ ერისთავი, ხოლო სენაკში—ბოროზდინი.

1857 წ. ბოლოს დასრულდა სამეგრელოში აჯანყების საქმის გამოძიება. მეფის ოხრანკის არქივში არსებული მიმოწერებიდან სჩანს, თუ რატომ იქნა გადადებული უტუ მიქავას დაპატიმრება.

„მიქავა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მისმა დაპატიმრებამ შესაძლებელია ისევ აჯანყება გამოიწვიოსო“.

საინსპექტორო განყოფილების ცნობებში უტუ მიქავას შესახებ ბარანოვსკის შენიშვნაში ნათქვამია: „1857 წ. მე მქონდა შემთხვევა გამეცნო მიქავა და დავრწმუნდი, რომ ეს მეტად შესანიშნავი პიროვნება, გამოსული გლეხთა წრიდან, სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით, მეთაურობდა რა გლეხთა აჯანყებას“.

სამეგრელოს აჯანყების საქმის გამო რუსეთის შორეულ მხარეებში 4-10 წლის ვადით გადასახლებულ იქნა 37 კაცი, აქედან 21 კაცი იყო წალენჯიხის რაიონის სოფლებიდან. სამი კაცი გაიქცა, ისინი გადაეცენ სამხედრო-საველე სასამართლოს. აჯანყების მთავარი ორგანიზატორები: უტუ ჯოტის-ძე მიქავა,, ლევან უჩარდის-ძე კვარაცხელია, და კოჩა თოდუა გადასახლებულ იქნენ არხანგელსკის გუბერნიაში 5 წელს ციხეში იზოლაციით და შემდეგ კიდევ 5 წლის იქ დატოვებით.

უტუ მიქავა გადასახლებიდან დაბრუნდა 9 წლის შემდეგ. მეფის ოხრანკამ შესაძლებლად ჩასთვალა მიქავას განთავისუფლება, მისი მძიმე ავადმყოფობისა გამო, შემდეგი პირობით: „მისი (უტუ მიქავასი — მ. ბ.) სამყოფელ ადგილად განსაზღვრულ უნდა იქნას თბილისი ან ქუთაისი და არ უნდა იქნეს იგი გაშვებული სამეგრელოში იმ დრომდე, სანამ იქ არ გადასწყდება გლეხობის საკითხი, რომელიც ამჟამად წამოჭრილია“. (საინსპექტორო განყ. 1866 წ. 19 იანვრის ცნობიდან).

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც უტუ არ ივიწყებდა ხალხის ინტერესებს, ის დიდი ნდობით სარგებლობდა. ამით იყო გამოწვეული, რომ პირველ მამასახლისად ხალხმა ერთსულოვნად უტუ დაასახელა და კიდევაც აირჩია. მამასახლისობის დროსაც უტუ აშკარად ილაშქრებდა თავად-აზნაურობის წინააღმდეგ.

უტუ მიქავამ შეაგროვა 500-მდე გლეხი, დიმიტრი დადიანის ეზოდან დამზადებული ფიცრები წამოაღებინა მათ და ამით კანცელარია ააგო. როცა გაბრაზებული დადიანი მოვარდა, უტუმ განუცხადა: „მიწა, ტყე ხალხს ეკუთვნის. ხალხის შრომით დამზადებული მასალა საზოგადო საქმისათვის წამოვიღეთ, თუ წინააღმდეგობას გაგვიწევ, აქვე გაგათავებთ“. ამ საქმის გამო თავად-აზნაურობა დიდი ნაწყენი დარჩა. „უტუ მიქავას განკარგულებით დადიანების ფიცრების მოტაცების საქმე, — განაგრძობს თავის მოგონებაში ე. ქვარაცხელია. — გაასაჩივრეს „ვეზდაში“. — მდგომარეობის გამოსარკვევად ჩამოვიდა მაზრის უფროსი რაფიელ ერისთავი, რომელმაც შეკრიბა ხალხი და იკითხა, რაში იყო საქმე. მიქავამ მოახსენა: „თქვენი განკარგულებით შემოღებულია მამასახლისობა, ამისათვის საჭიროა კანცელარია. ჩვენ რომ აგვეშენებინა ასეთი, ამისათვის ხალხის შრომით დამზადებული მასალა მოვიტანეთ და ავაგეთ სახლი, მეტი არაფერი მომხდარა ბატონო“.

„ერისთავმა თავადების დაბეზღებით, უთხრა მიქავას, შემოიტანე ჩვენთან განცხადება „ასტავკის“ შესახებო. მიქავას გული მოუვიდა, გაიხსნა ჯაჭვი, დააგდო მიწაზე, როგორც დადიანები, თქვენც უარესი ყოფილხართო და ეკლესიის დაღმართზე ცხენი ჭენებით ჩაიყვანა და გასწია თავის სახლისაკენ. ახალ მამასახლისად დანიშნეს უტუს კანდიდატი ვატაია კვარაცხელია. თავად-აზნაურებმა მიაღწიეს იმას, რომ უტუ მოეხსნათ მამასახლისობიდან. ხალხს ის უყვარდა, რადგან უტუ სიკვდილამდე იცავდა ხალხის ინტერესს“.

ბრძოლა გათავებული არ იყო. 1857 წ. აჯანყებაში დამარცხებას არ შეეძლო გამარჯვების იმედი დაეკარგა მებრძოლი ხალხისათვის.

სამეგრელოს მშრომელი ხალხი მთელ საქართველოს თავისუფლების მოყვარულ ხალხთან ერთად, მუდამ იბრძოდა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მეფის თვითმპყრობელობისა და მისი რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, 1905 წ. და მის შემდგომ პერიოდშიაც, სანამ პროლეტარიატის წინამძღოლობით, ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ხელმძღვანელობით საბოლოოდ არ გაიმარჯვა.

უფასო მიწა, თავისუფლება, ადამიანური ბედნიერი ცხოვრება, რაზეც ოცნებობდა და რისთვისაც 80 წლის წინათ იბრძოდა სამეგრელოს გლეხობა — მიქავას მეთაურობით, განხორციელებულია.

სამეგრელოს მშრომელნი ეწევიან ნამდვილ თავისუფალ საამურ ცხოვრებას. ახალი სოფლები, ახალი სკოლები, თეატრები, კინო, რადიო და სხვა კულტურული დაწესებულებანი აქ მრავლად მოიპოვებიან.

ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ვენახი — აქ კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენენ. კერძოდ, წალენჯიხის რაიონი, სადაც დაიბადა და მუშაობდა უტუ მიქავა, — მთლიანი კოლექტივიზაციის (86 პროც.) რაიონია. კოლმეურნეთა შემოსავალი უკანასკნელ 3-4 წ. 5-6 ჯერ გაიზარდა. თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნენი ღებულობენ 5-15 მანეთს და მეტსაც.

კოლმეურნენი დიდი პატივისცემით იგონებენ უტუ მიქავას და ყველა იმათ, ვინც ჯერ კიდევ 80 წლის წინათ აქტიურად იბრძოდა უსამართლობის წინააღმდეგ, თავისუფალი ცხოვრებისათვის.

◆



ნორჩ მუსიკოსთა სრულიად საქართველოს ოლიმპიადის მონაწილე ბათუმელთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ელ. ბერგაჩი, ბუბული ასლან-ზადე, მერაბ ფარცხალაძე, მიშა თირიშვილი. ფოტო რ. კაკოფოვისა

მშრომელთა წერილები

უკეთესის ნაცვლად...

მიმდინარე წლის დასაწყისამდე ლენინის სახელობის რაიპროკურატურა (თბილისი) ამავე რაისაბჭოს სახლში მუშაობდა. მართალია, აქ პროკურატურის მუშაკები ბინის სივიწროვეს განიცდიდნენ (ჰქონდათ 3 ოთახი, 60 კვ. მეტრამდე ფართობი), მაგრამ რაკი ეს ბინა მშრალი და სინათლიანი იყო, არ ჩიოდნენ სივიწროვეს.

წელს ლენრაისაბჭომ ახალი სახლი ააგო (საბჭოს ქუჩა, №141), რომელშიაც მოათავსეს პროკურატურა. ეს ბინა ყოვლად უვარგისია: უსინათლო, ნესტიანი. სინესტისაგან კედლები ირღვევა, ქაღალდები ფუჭდება. გასაგებია, თუ როგორ იმოქმედებს ეს თანამშრომლებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ შენობა ულამაზოდ არის აგებული. აშენებულია გაუსუფთავებელი მასალით, იატაკი ცუდად დაგებულია და სხვ.

ამგვარად, უკეთესის ნაცვლად ლენრაისაბჭომ პროკურატურას ყოვლად უვარგისი ბინა მისცა. პროკურატურის მუშაკების საყვედური სავსებით სამართლიანია.

გ. ხეჩავა.

ჩვენთვის მასალა შემოელიათ

გასულ წელს ნიგვზიანში რადიოგადამცემი სადგური გაიხსნა. ნიგვზიანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტ. გოგიჩაიშვილმა მახლობელი სოფლების კოლმეურნეობებთან დასდო ხელშეკრულებები რადიომიმღები წერტების მოწყობის თაობაზე. რამდენიმე კოლმეურნეობას მართლაც შეუსრულა პირობა. მაგრამ ჯურუყვეთის ამხ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაზე რომ მიდგა ჯერი, ამხ. გოგიჩაიშვილმა განაცხადა: „მასალა შემომელია, თუ თითო ბოძზე ათ-ათ მანეთს მომცემთ, ხაზს გავიყვან, თუ არა და არ შემიძლია". რატომ მარტო ჩვენს კოლმეურნეობას სთხოვს ფულს, როდესაც სხვებისთვის კაპეიკიც არ გამოურთმევია! თუ მასალა შემოელია, ვფიქრობთ, რაიონი უნდა დაეხმაროს, ჩვენ კი რადიომიმღების უქონლად ნუ დაგვტოვებენ.

შალვა მოქია.

საექიმო პუნქტი უექიმოდ

კაჭრეთის (გურჯაანის რაიონი) საექიმო პუნქტი მოთავსებულია ცივ და ნესტიან ოთახში. წამლები და ხელსაწყო-იარაღები ფუჭდება. ოთახში წვიმა ჩამოდის.

პუნქტს არა აქვს ავადმყოფების გასასინჯი ტახტი და საჭირო ხელსაწყოები, რაც აქვს, დაჟანგულია, მათი ხმარება შეუძლებელია. პუნქტს არა აქვს თეთრეული, სტერილიზატორი, პირველი დახმარების წამლები და სხვ. პუნქტში მოსული ავადმყოფები საჭირო პირველ დახმარებას ვერ ღებულობენ. მაგალითად, 3 აპრილს ვანია ლაზაშვილმა, რომელსაც კბილი სტკიოდა, პუნქტში დახმარება ვერ მიიღო. აწევე მოექცნენ ავადმყოფ სოსია სოლოღაშვილსაც. პუნქტი მეტწილად დაკეტილია. ამის მიზეზად პუნქტის ყოფილი გამგე ამხ. დომნა თუშიშვილი უშეშობას ასახელებდა. სამი თვეა, რაც ჯანმრთელობის განყოფილების ყოფილი გამგის „ნებართვით" თუშიშვილი წასულია რაიონიდან და პუნქტი უექიმოდ არის დარჩენილი.

ჯანმრთელობის განყოფილების ახალმა გამგემ პუნქტი უნდა ალაგინოს, ექიმი დანიშნოს, მუშაობა უნდა განაახლოს.

ფილ. გვაძაგია.

საგზაო ბრიგადა დასავლეთ საქართველოში

ამჟამად დასავლეთ საქართველოს რაიონებში მუშაობს საქართველოს შინსახკომის გზატკეცილთა სამმართველოს აგიტბრიგადა მოძრავი კინო-რადიო ავტომანქანით.

ბრიგადამ უკვე მოიარა ჯუღელისა და ჩხარის რაიონები, სადაც მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.

ბრიგადა ადგილებზე უშვებს დასურათებულ ლოზუნგებს საგზაო მშენებლობის თემებზე, აწყობს რადიოკონცერტების მიღება-გადაცემას, უჩვენებს მხატვრულ ხმოვან ფილმს „უკანასკნელ მასკარადს", ტექნიკურ ფილმს საგზაო მშენებლობაზე, ატარებს საუბრებს საგზაო ტექმინიმუმის ციკლიდან და ამოწმებს საგზაო მშენებლობის მიმდინარეობას.

ძეთი მუშაობა ჯუღელის რაიონში ჩატარდა სამ სასოფლო საბჭოში. თათბირებს საშუალოდ 500-700 კაცი ესწრებოდა.

ახლა ჯუღელის რაიონში გამოცხადებულია და წარმატებით მიდის საგზაო მშენებლობის სტახანოვური 20-დღიური.

რამდენადაც კარგი იყო ბრიგადისათვის ხელისშეწყობა ჯუღელის რაიონში, იმდენად არადამაკმაყოფილებელი იყო იგი ჩხარში, სადაც ძთელმა დღემ უქმად ჩაიარა იმის გამო, რომ საგზაო განყოფილების ხელმძღვანელებმა ვერ შეუქმნეს ბრიგადას საჭირო პირობები მუშაობის გასაშლელად.

ჩხარიდან აგიტ-ბრიგადა გადავიდა ქუთაისის რაიონში.

ნორჩ მუსიკოსთა ოლიმპიადა

12 ივნისს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში დაიწყო ნორჩ მუსიკოსთა სრულიად საქართველოს ოლიმპიადა. ოლიმპიადა გახსნა საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების გამგის, კომპოზიტორ შ. მშველიძის შესავალი სიტყვით.

პირველი დღის პროგრამაში შედიოდა თბილისის 1, 2 და 4 მუსიკალური სასწავლებლების, ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის, თბილისის მუშფაკის მოსწავლეების, აფხაზური სკოლის სასულე ორკესტრის, აფხაზური გუნდისა და თბილისის რკინიგზის მე-11 სკოლის სიმებიანი ორკესტრის გამოსვლები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ოლიმპიადამ ბევრი ნიჭიერი მუსიკოსი გამოამჟღავნა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვიოლინოს დამკვრელები ვ. გოგინაშვილი, ო. არუცევი, ხანზინა, პიანისტები ოთარ ბუაჩიძე, კარბელაშვილი, მ. ბრეგაძე და სხვა.

სასიხარულოა, რომ ბათუმი ნორჩ მუსიკოსთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფით არის წარმოდგენილი. ყურადღებას იპყრობენ ელ. ბერგაჩი, ფესვანიძე, ფარცხალაძე.

გუშინ, 13 ივნისს, ოლიმპიადაზე გამოვიდნენ თბილისის მე-3 და მე-4 მუსიკალური სასწავლებლის, ნოხუმისა და სტალინირის მუსიკალური სასწავლებლების მოსწავლენი, თბილისის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის საქამანჩე ინსტრუმენტების კვარტეტი და რკინიგზის მე-11 სკოლის გუნდი.

დღეს, 14 ივნისს, დილის 12 საათზე, გამოვლენ ქუთაისის მუსიკალური სკოლისა და ქუთაისისა და თელავის მუსიკალური სტუდიების, თბილისის საერთო საგანმანათლებლო სკოლების, ხაშურის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლენი და თბილისის მე-5 მუსიკალური სკოლის აღმოსავლური ორკესტრი.

14 ივნისს, საღამოს 7 საათზე, გამოვლენ თბილისის კონსერვატორიასთან არსებული ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფები და თბილისის მე-6 და მე-7 მუსიკალური სკოლების გაერთიანებული გუნდი.

15 ივნისს, 7 საათზე, გაიმართება საზეიმო საღამო, ოლიმპიადის მონაწილეთა დაჯილდოვება და მუსიკალური კოლექტივების გამოსვლა.

ნორჩ მუსიკოსთა სრულიად საქართველოს ოლიმპიადის ჟიურის შემადგენლობაში შედიან: ა. დუდუჩავა (თავმჯდომარე), შ. მშველიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ა. ვირსალაძე, კ. მინიარი, დ. არაყიშვილი, ს. ბეზროდნი.

თბილისს — სანიმუშო სისუფთავე

(ჩვენი ლენინგრადელი კორესპონდენტისაგან)

ლენინგრადში დამთავრდა სრულიად საკავშირო თათბირი ქალაქების დასუფთავების საკითხზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ხარკოვის, თბილისის, სვერდლოვსკის, ალმა-ატას, ტაშკენტის, ერევნისა და საბჭოთა კავშირის სხვა ძსხვილი ქალაქის 250 დელეგატმა.

საქართველოდან თათბირს დაესწრნენ ა. მ. ბეჟანოვი (ჯანსახკომის სახელმწიფო-სანიტარული ინსპექცია), ექ. ლ. კ. წერეთელი (სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) და მ. ბ. აგაჯანოვი.

საქართველოს დელეგატებმა თათბირზე გააშუქეს თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების დასუფთავების თანამედროვე მდგომარეობა.

თბილისი სისუფთავის მხრივ ვერ აკმაყოფილებს ქალაქისა და მშრომელი მასების გაზრდილ მოთხოვნილებას. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში შემოღებულია მექანიკური დასუფთავება, თბილისში დღემდე დასუფთავება მამაპაპური მეთოდებით სწარმოებს ხელით.

დასუფთავების საკითხი თბილისში მწვავედ სდგას, რადგან კლიმატური პირობების გამო ნაგავი და უსუფთაობა სწრაფად იხრწნება და სწამლავს ჰაერს, რაც ერთერთი მიზეზია კუჭნაწლავების ინფექციის გავრცელებისა. მხოლოდ დასუფთავების მექანიკურ წესებს შეუძლიანთ ჰაერის დაცვა უწმინდურობისაგან.

დიდი ინტერესი გამოიწვია დელეგატებში თბილისის ლენრაიონის საბჭოს გამოცდილებამ ნარჩენების კომპოსტირების დარგში. ამ საკითხში ლენინის რაიონს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევა აქვს.

მესამე ხუთწლედში თბილისის მარტო კომუნალური დასუფთავების საქმეში დაბანდებული იქნება 10 მილიონი მანეთი, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებში ხუთი მილიონი მანეთი. მესამე ხუთწლედში დასუფთავების მთელი საქმე თბილისში მექანიზებული უნდა იქნას. ხუთწლედის განმავლობაში აიგება ნაგვის გადამმუშავებელი სადგური. ფართოდ იქნება გამოყენებული ნაგვის უტილიზაცია განსაკუთრებულ კამერებში. თბილისის გარდა დასუფთავების საქმეს დიდი ყურადღება მიექცევა ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, ჭიათურაში, ჯუღელში მახარაძეში და ბორჯომის, წყალტუბოს და აბასთუმნის კურორტებზე.

როგორც ვიცით, მოსკოვის საბჭო თბილისის საბჭოს შეფია. მოსკოვის საბჭოს ქუჩებისა და სახლების დასუფთავების ტრესტების ხელმძღვანელებმა ამხ. სირიცკიმ და ლეიმანმა თათბირზე იკისრეს ვალდებულება—დაეხმარონ თბილისის საბჭოს დასუფთავების მექანიკური წესების დანერგვაში. ასეთივე ვალდებულება იკისრა ლენინგრადის საბჭომაც.

ახლო მომავალში თბილისის შთავარ ქუჩებსა და მოედნებზე გამოვლენ პირველი მექანიკური დამსუფთავებელი მანქანები.

საქართველოს დედაქალაქში სანიმუშო სისუფთავე უნდა იყოს. თბილისის საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს დასუფთავების მექანიზაციას და მოახერხოს საჭირო მანქანების მიღება მიმდინარე წელშივე. ასეთი მანქანები საკმაო რაოდენობით მზადდება მოსკოვშიაც და ლენინგრადშიაც.

რ. ხალილოვი



ახლოხანში თბილისში მიიღებენ ქუჩების დამგველ-დამწმენდ მანქანას. სურათზე: ქუჩების დამგველ-დამწმენდი მანქანა ურიცკის (ლენინგრადი) მოედნის დასუფთავებაზე.

ილიას საღამო სოხუმში

7 ივნისს სოხუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო საღამო, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი.

საზეიმო საღამო გახსნა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ჩაგავამ, რომელმაც აღნიშნა ილიას ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთავარი მომენტები. მოხსენებით ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი, პოეტი ვ. გაფრინდაშვილი.

სიტყვა წარმოსთქვა აფხაზეთის სახალხო პოეტმა დ. გულიამ. აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ს. ჩანბამ გამოაცხადა აფხაზეთის მთავრობის დადგენილება: უნდა გამოიცეს ილიას ნაწარმოებთა ერთტომეული აფხაზურ ენაზე, დაერქვას ილიას სახელი ორ ქართულ სკოლას სოხუმში და გუდაუთში და სოხუმის ერთ-ერთ ქუჩას. შემდეგ აფხაზეთის მწერლებმა დ. გულიამ, ს. ჩანბამ, ლ. ლაშხიამ წაიკითხეს აფხაზურ ენაზე თარგმნილი ილიას ლექსები, ნაწყვეტები პოემებიდან და მხატვრული პროზიდან („ქაკო-ყაჩაღი", „კაცია ადამიანი").

მწერალმა კანონიდიმ წაიკითხა მის მიერ ბერძნულად თარგმნილი ნაწყვეტი „კაცია ადამიანიდან", ლექსი „გაზაფხული", ვ. გაფრინდაშვილმა წაიკითხა თავისი ლექსები ილიაზე. მსახიობმა ქალმა ნ. მამულიამ იმღერა ილიას „ნანა", გადაღებული მუსიკაზე მ. ბალანჩივაძის მიერ.

დასასრულ, დასავლეთ საქართველოს გუნდმა ვ. ფანცულაიას მეთაურობით შეასრულა ხალხური სიმღერები და ცეკვები.

◆

„ჩაგეხილი ხიდი"

ილიას დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა აღადგინა „ჩაგეხილი ხიდი", შალვა დადიანის მიერ შესრულებული სცენიური მონტაჟი ი. ჭავჭავაძის ნაწერებისა.

სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მაყურებლები ტაშით ხვდებიან სცენაზე გაცოცხლებულ ილიას გმირებს. რეჟისორის მოფიქრებული მუშაობა (დადგმა ვასო ქუშიტაშვილისა), სპექტაკლის მარტივი, სადა გაფორმება (მხატვარი პ. ოცხელი), ლამაზი მუსიკა (კომპოზიტორი შალვა მშველიძე) საინტერესო მოსასმენად ხდის ამ წარმოდგენას.

დაუვიწყარ სახეებს ჰქმნიან მსახიობები შ. ღამბაშიძე (არჩილი), ვასო გოძიაშვილი (ლუარსაბი), ც. წუწუნავა (დარეჯანი), ს. თაყაიშვილი (კესო), გ. კოსტავა (დათიკო), გ. შავგულიძე (გაბრო), შაქრო გომელაური (პეპია), ალ. გომელაური (გიორგი), ე. დონაური (ოთარაანთ ქვრივი), ე. ჩერქეზიშვილი (ხორეშანი), შ. გოცირელი (ზაქრო), ი. გვინჩიძე (კაკო), შ. ჯაფარიძე (ამირინდო), მ. სარაული (გლახა ჭრიაშვილი), ე. სიბილა (თამრო).

სპექტაკლი დიდძალ ხალხს აზიდავს.

თბილისის ფეხბურთელთა გუნდების — „დინამოს" და „ლოკომოტივის" შეჯიბრება „საკავშირო თასზე" 12 ივნისს. სურათზე: თამაშის ერთერთი მომენტი. ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ფეხბურთი

„დინამო" — „ლოკომოტივი"

12 ივნისს „საკავშირო თასის" გათამაშების მეოთხე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის გუნდები: „დინამოს" ოსტატები და „ლოკომოტივი".

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაშმა დიდი ინტერესი გამოიწვია. სტადიონს ამ დღეს 25 ათასზე მეტი კაცი მიაწყდა. შეჯიბრებას სჯიდა მოსკოველი შელჩკოვი.

შეჯიბრებამ თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო, ეს სიმწვავე ხშირად უხეშობაში გადადიოდა. ამ მხრივ გუნდები არ ჩამორჩებოდნენ ერთმანეთს. დიდხანს ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა თამაშის აწყობა. არ ჩანდა კომბინაციები, ბურთის კოლექტიურად წაღება. ხშირი იყო უთავბოლო დარტყმა ორივე მხრიდან.

მე-20 წუთზე დინამოელმა ბ. პაიჭაძემ მოხერხებულად გაიტაცა ბურთი და თვალის დახამხამებაში „ლოკომოტივის" კარისაკენ გაგზავნა ის. მეკარე შუდრამ უკან გამოსტყორცნა ძლიერად დარტყმული ბურთი, ამ დროს მიუსწრო მ. ბერძენიშვილმა და ბადეში მოაქცია იგი. ხუთი წუთის შემდეგ იმავე ბერძენიშვილმა მეორედ გაარღვია „ლოკომოტივის" კარი „პენალტიდან".

მეორე ტაიმში ლოკომოტიველებმა სცადეს ინიციატივის ხელში აღება და ერთხანს შესძლეს კიდეც თამაშის „დინამოს" კართან გადატანა, მაგრამ მალე იძულებული შეიქნენ კვლავ თავდაცვაზე გადასულიყვნენ.

მე-10 წუთზე გავაშელმა ისარგებლა „ლოკომოტივის" მცველთა შეცდომით და მესამე ბურთი გაიტანა, ხოლო ხუთი წუთით ადრე ტაიმის დამთავრებამდე სომოვმა ცენტრიდან წაღებული ბურთი მიიტანა მოპირდაპირის კარამდე, შემოატარა მეკარეს და ცალიერ ჭიშკარში შეაგორა.

თამაში დამთავრდა „დინამოს" გამარჯვებით 4:0.

ახალი ამბები

● დღეს, 14 ივნისს, საღამოს 7-ნახევარ საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტორია № 86) დოც. ჟ. გოზალიშვილი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ბიზანტია-ირანის ბრძოლა მე-VI საუკუნეში იბერია-ლაზიკისათვის". ოფიციალურ ოპონენტებად მოწვეული არიან: პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი.

● დღეს, 14 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) დანიშნულია ახალგაზრდა მწერლების კრება. ტ. გაწერელია წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ქართული ლექსის სტრუქტურა".

◆

ქრონიკა

მოსკოვი, 12 ივნისი (საქტელი). 12 ამა ივნისს სისრულეში იქნა მოყვანილი სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენი მ. ნ. ტუხაჩევსკის, ი. ე. იაკირის, ი. პ. უბორევიჩის, ა. ი. კორკის, რ. პ. ეიდემანის, ბ. მ. ფელდმანის, ვ. მ. პრიმაკოვისა და ვ. კ. პუტნის მიმართ, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

14 ივნისი

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ნაციონალური მოძრაობა — საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის შემადგენელი ნაწილი" — ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „უცხოეთის დაზვერვის მიერ აგენტების შეგროვების ზოგიერთი ვერაგული ხერხის შესახებ" — რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ა. რუხაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ერთიანი სახალხო ფრონტი ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ" — რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ჩარკვიანი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

15 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში პროფ. ათაბეკოვი კომკავშირული აქტივისათვის წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობა საბჭოთა კავშირის მიერ". შესვლა გასაშვებით ბარათებით.

○

რუბენ ვართანიანი სამი დღის ვადაში უნდა გამოცხადდეს პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგიაში.

14 ივნისს, საღამოს 7 საათზე, კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის აგიტატორებისათვის შესდგება პროფ. ათაბეკოვის მოხსენება თემაზე: „ბრძოლა ჩრდილოეთ პოლუსისათვის".

○

14 ივნისს, საღამოს 8 საათზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება კონსულტაცია აგიტატორებისათვის თემაზე: „კომუნისტები და რელიგია".

○

14 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება მოხსენება პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის თემაზე: „თანამედროვე ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში". მომხსენებელია ამხ. კვიცარიძე.

საქ. კ. პ. (ბ) მარტვილის რაიკომი აცხადებს: პარტბილეთი № 1525507, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) მარტვილის რაიკომის მიერ 1936 წლის 7 ივლისს ნიკოლოზ ალექსის-ძე ბაჩილავას სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0714665, გაცემული მარტვილის რაიკომის მიერ ეორეი ეგნატეს-ძე ხელაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გრ. მუშიშვილი

ლენინის ორდენოსანი
რუსთაველის
სახელობის თეატრის
1936/37 წლის
სეზონის დახურვა

14-VI	არსენა
15-VI	გმირთა თაობა
16-VI	გმირთა თაობა

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

სსრკ შინავაჭრობის სახალხო
კომისარიატი
თბილისის საკავშირო უნივერმაღი
დღეს, 14 ივნისს, ლენინის ქუჩაზე № 3
ხსნის
ავეჯეულობის სპეციალურ მაღაზიას
გასაყიდად მიღებული იქნება საკუთარი სახელოსნოებისა და სახელმწიფო მრეწველობის ნაკეთობათა მრავალფეროვანი ასორტიმენტი.
2—1 128 დირექცია.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

14-VI	ჩაგეხილი ხიდი
15-VI	ჩაგეხილი ხიდი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის
მოსამზადებელ კურსებზე იხსნება
მოკლევადიანი ჯგუფები,
სადაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის გამეორება 1-ლ აგვისტომდე უმაღლეს სკოლათა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამით.
პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: მეთულუხეების (ვოდოვოზნაია) ქუჩა, № 5 (ჩასასვლელი ოპერის უკან, თეატრალურიდან), მე-56 სკოლა, საღამოს 6—11 საათამდე.
17152 ადმინისტრაცია.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 7, 9, 11	დადგმის მე-2 კვ. ახ. ხმ. ფ. უკრაინულ ენაზე ნაზარ სტოდოლია
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11	საზამ. შენ. ახ. ხმ. ფილმი აი—გული საზაფხ. შენ. პეპო
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი მაქსიმეს სიჭაბუკე
რ. ლიუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე-2 თვე ხმოვ. სურ. ქართულ ენაზე ნარინჯის ველი
26 კომ. სახ. საზამთ. 6-30 საზაფხ. 9	ხმოვანი მხატვრ. ფილმი ცამეტნი
ახალი ამბები.	„ჩრდილოეთის პოლუსი დაპყრობილია ჩვენ მიერ" ხმოვ. ჟურ. № № 23, 24
კომინტერნი (საზაფხულო) 8-45, 10-30	ხმოვანი მხატვრ. ფილმი ცირკი
არხენა 7, 8-40, 10-20	ხმოვ. მხატვ. ფილმი მე დავბრუნდები

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი
აცხადებს მიღებას 1937/38 სასწ. წლისათვის რადიოს, ტელეგრაფისა და ტელეფონის დარგებზე.
ტექნიკუმი ამზადებს კავშირგაბმულობის დარგის მაღალკვალიფიციურ ელექტროტექნიკოსებს. სწავლება ტექნიკუმში სწარმოებს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.
ტექნიკუმში მისაღები გამოცდებით მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის კურსი ასაკით 15-დან 30 წლამდე.
განცხადებები მიიღება პირველი ივლისიდან 15 აგვისტომდე, 16 აგვისტოდან 25 აგვისტომდე იწარმოებს მისაღები გამოცდები შვიდწლედის კურსის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1) დედა-ენა და ლიტერატურა, 2) რუსული ენა, 3) პოლიტცოდნა, 4) მათემატიკა, 5) ფიზიკა და 6) ქიმია.
მსურველებმა განცხადებები უნდა გამოგზავნონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:
1) ავტობიოგრაფია ორი შემოწმებული ფოტოსურათით,
2) მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრებისა,
3) წლოვანების, 4) ჯანმრთელობის და 5) ასაკის მიხედვით სამხედრო მოვალეობასთან დამოკიდებულებისა.
ტექნიკუმში ჩარიცხულთ საერთო საცხოვრებელი და სტიპენდია მიეცემათ საერთო წესით.
მისამართი: თბილისი, ჩიტაძის ქ. № 9, ტელეფონი 3-26-48.
1599 ტექნიკუმის დირექტორი კვანტრიშვილი.

ვანის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე
ხდება ვანში არსებულ ინვალიდთა კოოპერატიული არტელ „მნათობის" ლიკვიდაცია,
რაც უნდა დამთავრდეს 25 ივნისისათვის.
თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს, მოგვაწოდოს ცნობა აღნიშნული დრომდე.
17153 ლიკვიდკომი.

მიღების პირობები თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტულ ინსტიტუტში
1937—1938 სასწავლო წელს.
1. შემომსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) რუსული ენა (წერითი და ზეპირი), ბ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერითი და ზეპირი), გ) პოლიტცოდნა, დ) მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია—წერითი და ზეპირი), ე) ქიმია, ვ) ფიზიკა, ზ) ერთი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) შემომსვლელის არჩევით).
2. უგამოცდოდ მიიღებიან ფრიადოსნები, ათწლედდამთავრებულნი და საექსტერნო წესით საშუალო სკოლადამთავრებული ფრიადოსნები.
3. მისაღები გამოცდები იწარმოებს საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში, უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.
4. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ ცხრაწლედი, ათწლედი, ტექნიკუმი, ან აქვთ მოწმობა საშუალო განათლების მიღების შესახებ (საექსტერნო გამოცდებით).
შენიშვნა: ტექნიკუმდამთავრებულნი გამოცდებზე დაიშვებიან მათთვის სავალდებულო საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ.
ინსტიტუტში შემსვლელთ შემოაქვთ ფარმაცევტულ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (პეროვსკაიას ქ. № 22) განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: ა) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), ბ) ცნობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ (აღნიშნულ ცნობას არდგენენ მხოლოდ სამხედროვალდებულნი), გ) სამი ფოტო-სურათი, გადაღებული თავზე დაუხურავად, პირადი ხელმოწერით, დადასტურებული სახ. დაწესებულების მიერ, დ) ავტობიოგრაფია, ე) პასპორტი —წარედგინება პირადად გამოცხადებისას.
შენიშვნა: შემომსვლელის ავტობიოგრაფიაში უნდა იყოს შემდეგი ცნობები: 1) დაბადების წელი, თვე და ადგილი, 2) ეროვნება, 3) ქვეშევრდომობა, 4) პარტიული მდგომარეობა, 5) ალკკ წევრია თუ არა, 6) განათლება, 7) პროფესია და 8) საწარმოო სტაჟი, 9) ოჯახური მდგომარეობა, 10) მისამართი (თუ რაიონიდანაა, ნაჩვენები უნდა იქნას რაიონი) და სხვ.
6. განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 1-ლ აგვისტომდე.
7. გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 20-დან 25 აგვისტომდე.
8. მეცადინეობა დაიწყება 1-ლ სექტემბერს; (1-ლ სექტემბერს არ გამოცხადებული სტუდენტი ინსტიტუტიდან გაირიცხება).
112 ინსტიტუტის დირექტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ
23 ივნისს, დილის 11 საათზე (აუდ. 103) შესდგება ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომა,
რომელზედაც ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:
1. ა. სანიკიძე: „დრეკადობის თეორიის ძირითადი ბრტყელი ამოცანის ამოხსნის ზოგიერთი ეფექტიური მეთოდის შესახებ".
ოფიც. ოპონენტები: პროფ. ნ. მუსხელიშვილი, დოც. ა. გორგიძე.
2. ე. წითლანაძე: „კერძო წარმოებულებიან დიფერენციულ განტოლებათა ამონახსნების შესახებ".
ოფიც. ოპონენტები: პროფ. ს. ბერგმანი, პროფ. ა. ხარაძე.
3. პ. ზერაგია: „პოლიჰარმონიულ განტოლებათა ინტეგრაციის შესახებ".
ოფიც. ოპონენტები: პროფ. ნ. მუსხელიშვილი, დოც. ი. ვეკუა.
შრომების გაცნობა შეიძლება ფიზ.-მათ. ფაკ-ტის დეკანატში 12 საათიდან 3 საათამდე.
50 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ექსტერნატზე მიღების პირობები
1937/38 სასწავლო წელს.
1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ექსტერნატზე იწარმოებს სტუდენტთა მიღება შემდეგ ფაკულტეტებზე:
1. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი: (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე).
2. ქიმიის ფაკულტეტი (მეცადინეობა ქართულ ენაზე).
3. გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტი (მეცადინეობა ქართულ ენაზე).
4. ბიოლოგიური ფაკულტეტი (მეცადინეობა ქართულ ენაზე).
5. ისტორიის ფაკულტეტი (მეცადინეობა ქართულ ენაზე).
6. ბიოლოგიური ფაკულტეტი (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე).
7. ეკონომიური ფაკულტეტი (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე).
8. იურიდიული ფაკულტეტი (მეცადინეობა ქართულ ენაზე).
2. ექსტერნატზე შეიძლება ჩაირიცხონ ის პირები, რომლებიც ირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში და არ დაუმთავრებიათ.
3. საბუთების მიღება შეიძლება 20 ივნისიდან 1 აგვისტომდე.
4. განცხადება შემოტანილ უნდა იქნეს რექტორის სახელზე ფაკულტეტის აღნიშვნით, შემდეგი მისამართით: მარრის ქუჩა № 1.
5. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები: ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), გ) 2 ფოტოგრაფიული სურათი, ხელის მოწერით, შემოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ, დ) პასპორტი (წარედგინება პირადად).
6. ექსტერნატ დამთავრებულნი სარგებლობენ ისეთივე უფლებით, როგორც სტაციონარულ უნივერსიტეტ კურსდამთავრებულნი.
7. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტში, მარის ქ. № 1.
125 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ორაგველიძე

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ/მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8261